619
1960

42

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დროშა

№ 4 აპრილი 1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკზოლეუმთან
ფოტო თ. არჩვაძისა

ულიანოვსკ
ლენინგრადი
ულიანოვსკი
ზაკუმი იღიჩა
ლენინო
ლენინსკოე
ლენინ
ლენინსკ
ლენინსკაია
ლენინსკაია სლობოდა
ულიანოვო
ულიანოვსკი
ვ.ი.ლენინის სახ.
ულიანოვკა
ლენინ
ლენინ
ლენინ

დიადი იდეების ტრიუმფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინი!

ეს სახელი მოიცავს მთელ ეპოქას. ამ სახელთან განუყოფელადაა დაკავშირებული ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ უდიდესი რევოლუციური ბრძოლები, სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში და კომუნისტური მშენებლობის შესანიშნავი აწმყო და მომავალი.

გმირი საბჭოთა ხალხის მიერ, ჩვენი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებული ყველა გამარჯვება უშუალოდ დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს დიდი დამაარსებლისა და ხელმძღვანელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უკვდავ სახელთან.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად შეიმუშავა და დაასაბუთა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გეგმა.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალ ტექნიკურ ბაზაზე გადაყვანას ლენინი განუხრელად უკავშირებდა ელექტროფიკაციის საქმეს. ვ. ი. ლენინი რუსეთის ელექტროფიკაციის ერთიანი გეგმის შედგენის სულისჩამდგმელი და ინიციატორი იყო. ელექტროფიკაცია მას მიაჩნდა ქვეყნის ჩამორჩენილ ლიკვიდაციისა და კომუნიზმის აშენების აუცილებელ გზად და შემთხვევითი არ იყო ის, რომ ლენინმა გოელროს გეგმას პარტიის მეორე პროგრამა უწოდა.

ასრულებდა რა დიდი ლენინის ანდერძს, ჩვენი პარტია განუხრელად ახორციელებდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის ლენინურ იდეას და უზრუნველყო მის საფუძველზე ქვეყნის მთელი ეკონომიკის ძირფესვიანი გარდაქმნა.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ლენინური პროგრამა მოიცავდა არა მარტო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, არამედ, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას. სოფლის კოლექტივიზაციამ საბჭოთა ხელისუფლებას მისცა სოციალისტური ბაზა ეკონომიკის ყველაზე უფრო ვრცელ და იმავე დროს ყველაზე უფრო ჩამორჩენილ დარგში — სოფლის მეურნეობაში. მან შესაძლებელი გახადა მიწათმოქმედებაში მსხვილი სამანქანო ტექნიკის დანერგვა და სოფელი სოციალიზმის ფართო გზაზე გამოიყვანა. განხორციელდა უდიდესი კულტურული რევოლუცია.

საბჭოთა კავშირში ახლა 50 მილიონზე მეტი ადამიანი სწავლობს სხვადასხვა სასწავლებელში. უმაღლესი განათლების დაყენების, განსაკუთრებით კი ინჟინრების მომზადების მხრივ, საბჭოთა კავშირს მსოფლიოში წამყვანი ადგილი უკავია; ამ მხრივ მან გაუსწრო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, მათ რიცხვში ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

ლენინის ანდერძის საფუძველზე განმტკიცდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, ხოლო საბჭოთა ნაციონალურმა რესპუბლიკებმა, რომლებიც წარსულში მეფის რუსეთის ჩამორჩენილ და მივიწყებულ განაპირა მხარეებს წარმოადგენდნენ, თავიანთი ეკონომიკა და კულტურა იმდენად განავითარეს, რომ ბევრი კაპიტალისტური ქვეყანა უკან მოიტოვეს.

ყოველწლიურად უფრო და უფრო მტკიცდება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. როგორც ცნობილია, ამის შესახებ ლენინი არა ერთხელ აღნიშნავს, რომ სოციალისტური საზოგადოების ორი მეგობრული კლასის კავშირი წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა ხელისუფლების საფუძველს, მის მთავარ პრინციპს.

ლენინი გვასწავლიდა, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაში უნდა ვიგულისხმოთ მისი გამარჯვება საერთაშორისო მასშტაბით, ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური გარემოცვისა და მასში საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქციის ძალებით კაპიტალიზმის ძალდატანებითი აღდგენის საფრთხის ლიკვიდაცია. ცხოვრებამ დაამტკიცა ლენინის გენიალური წინასწარხედვა. მსოფლიოში შეიქმნა სოციალისტური ქვეყნების ძლიერი სისტემა, სადაც მილიარდამდე ადამიანი ცხოვრობს.

ჩვენმა ხალხმა, რომელიც ვ. ი. ლენინის მიერ მითითებული გზით მიდიოდა, შემოქმედებითად ავითარებდა და ახორციელებდა ცხოვრებაში მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უკანასკნელ წლებში ახალ წარმატებებს მიაღწია — საბჭოთა ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი გახდა, გაუგონრად ამაღლდა მისი ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე, გაიზარდა სოციალიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების მიმზიდველი ძალა.

საბჭოთა მეცნიერების შესანიშნავმა მიღწევებმა ატომგულის ფიზიკის და ატომური ენერგეტიკის, რეაქტიული ავიაციისა და რაკეტული ტექნიკის დარგში სახელი გაუთქვეს ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ხალხის შემოქმედებით გენიას.

სოციალიზმის შესანიშნავმა გამარჯვებებმა ჩვენს ხალხს შესაძლებლობა მისცა პრაქტიკულად შედგომოდა კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას და კომუნიზმში გეგმაზომიერ გადასვლას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ ამ ყრილობაზე განსაზღვრა პარტიისა და ხალხის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე, გადაიქცა კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამად.

90 წლისთავი დიდი ლენინის დაბადებიდან აღინიშნება მასების არნახული პოლიტიკური და შრომითი აქტივობის, შვიდწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მშრომელთა თავდადებული ბრძოლის პირობებში. საბჭოთა ხალხმა კარგად დაიწყო შვიდწლედი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაა შესრულებული 1959 წლის გეგმა მრეწველობის დარგში.

საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სკკპ XX და XXI ყრილობების მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკის მრეწველობის მიერ პროდუქციის გამოშვების გასული წლის გეგმა შესრულებულია 103,4 პროცენტით, გამოშვებულია 19 პროცენტით მეტი პროდუქცია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა (1959 წელს) შეაჯამა ჩვენს ქვეყანაში გასული წლის სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები, შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებები მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ უკანასკნელ ორ წელიწადს მიაღწია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, განსაკუთრებით ჩაის მეურნეობის, მევენახეობისა და მეთამბაქოების შემდგომ აღმავლობას.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ყოველნაირად იბრძოლებენ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ შვიდწლიანი გეგმის დავალება 170 ათასი ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფის შესახებ ვადამდე — 1963 წელს, ხოლო 1965 წელს ქვეყანას მისცეს სულ ცოტა 200 ათასი ტონა ჩაი, ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავალი აიყვანონ 1 მილიარდ ცალამდე, ყურძნისა — სულ ცოტა 500 ათას ტონამდე და სხვა.

მიმდინარე შვიდწლედის ძირითად პრობლემას წარმოადგენს დროის მაქსიმალური მოგება სოციალიზმის კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში.

მხოლოდ ტექნიკური პროგრესის საფუძველზე შეიძლება მიღწეულ იქნეს უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერება, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, რაც ვ. ი. ლენინის განსაზღვრით კომუნიზმის გამარჯვების ყველაზე მთავარ პირობას წარმოადგენს.

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა სოციალისტურ შეჯიბრებას. მასში იგი ხედავდა ახალი საზოგადოებრივი წყობის მშენებლობის მძლავრ ძალას. დიდი და სასახელო გზა გაიარა ამ მოძრაობამ პირველი კომუნისტური შაბათობებიდან, რომლებსაც ვ. ი. ლენინმა დიადი წამოწყება უწოდა, კომუნისტური შრომის ბრიგადებსა და დამკვრელების ბრიგადებამდე. ყველაფერ ამაში ჩვენ კომუნიზმის შესანიშნავ ყლორტებს ვხედავთ.

კომუნისტური პარტია ლენინურად განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას, უზრუნველყოფს სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებას. ჩვენს ქვეყანაში სწრაფად იზრდება მშრომელთა კომუნისტური შეგნება, განუწყვეტლივ მაღლდება ხალხის კულტურული დონე, ყალიბდება ახალი ადამიანი კომუნისტური საზოგადოების ადამიანი.

სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელი ცნებებია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, რომლებიც ავითარებენ და ცხოვრებაში ატარებენ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს, თანმიმდევრულად ატარებენ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ მიმართულ საგარეო პოლიტიკას.

სოციალისტური ქვეყნების მაგალითი კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს იმპერიალისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის აღაფრთოვანებს.

კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემა, როგორც ამას ვ. ი. ლენინი ითვალისწინებდა, კრახს განიცდის. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეები ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ბრძოლისაკენ მოუწოდებენ მშრომელთა სულ ახალ და ახალ ფენებს, რომელთა ავანგარდში კომუნისტური პარტიები დგანან.

კაპიტალიზმი, როგორც საზოგადოებრივი სისტემა განწირულია, მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის.

ლენინიზმის დროშით კომუნიზმი გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში.

კ. ჭელიძე

ლენინის ორდენისანი

მაყვალა მრუჯლიშვილი

ლენინი ბრიუსელში

ქალაქ ბრიუსელს ვნახეთ მსოფლიოს
ბევრი სიახლე გამოფენილი,
იქ ერთ სასახლეს სადა, მშობლიურ
სითბოსა ჰფენდა დიდი ლენინი.
საგაზაფხულო ნიაღვრის მსგავსი
ხალხის მორევი ერტყა ურიცხვი..
დარბაზს დასცქერდა დოვლათით ავსილს
კარგახსნილს ძმური სიყვარულისთვის.
შენივთებული კვარცხლბეკს უქმნიდა
ილიჩს—თვალები—ზღვა, მილიონი.
და იმ ნათელ ჭერს ნაქსოვს შუქისგან
ერქვა საბჭოთა პავილიონი.
«ადამიანი და პროგრესიო»—
ამ გაზოფენას ახლდა დევიზად,
მნახველი მართლაც ბლომად ესია
რაღაც მანქანებს კაჟანდევისას!
ზღაპრულ ურჩხულთა ქვირითის მსგავსმა
ატომიუმმაც ზეცა გაკვეთა,
მაგრამ სხვა იყო მნახველთა თავსხმა
სადაც კოსმოსის იდგა რაკეტა.
უცხო პატარძალს, ნახულს პირველად,
თემ-ჯარობაში ახალ მოყვანილს
სინჯავს ამგვარად და ეჯიბრება
მრავალი თვალი მტრის თუ მოყვარის.
გულში გავიგლეთ: კიდევ სადა ხართ!
ჯერ რამდენია ნაოცნებარი...
ბევრს მოიხვეჭენ პირის სანახავს
ლენინის ქვეყნის საოცრებანი.
... უსმენდა ხალხი გაოგნებული
«თანამგზავრიდან» პირველ მოძახილს
და ზეიმობდა სტუმრიანობას
დიდი ილიჩის სავსე ოჯახი.
ის კი ხელგაწვდით მიუთითებდა:
წინ! გზა ფართოა—ია-ვარდია,
ახალ ეპოქებს ოქროს ზოდებად
აცისკროვნებდა მისი პარტია.

გიორგი კაჭახიძე

ლენინის სხივში

მიყვარდა ჩემს ტოლ ბიჭებში გავლა
ლენინზე ფიქრით, ლენინის წიგნით...
იბეჭითეო, გიყვარდეს სწავლა,—
მომიწოდებდა ყოველთვის იგი.

არ იცოდეო ბრძოლაში შიში,
სიკვდილსაც სძლევო სწორებთან ძმობით,—
და ვიზრდებოდი ლენინის სხივში,
ლენინის ნაბიჯს ყოველგან ვგრძნობდი.

ყოველდღე ვგრძნობდი ილიჩის ამაგს,
არ მომელოდა მის გზაზე მარცხი;
ვგრძნობდი, თავს გვადგა მზრუნველი მამა,
ხალხის ბელადად შობილი კაცი.

ვგრძნობ ახლაც გული რა ძლიერ უცემს,
ჩვენს ხმაში მისი ხმა როგორ ისმის.
დროდადრო ჩემი ცხოვრების ფურცლებს
თვალს გადაავლებს გონება მისი.

თუ მტკივა რამე, მიყუჩებს ფრთხილად,
მატარებს ქვეყნად მომავლის რუკით.
ლენინის თვალით მიღიმის დილა,
მინათებს ღამეს ილიჩის შუქი.

ლენინით ყველგან ვაკაცად ვრჩები,
ჭაბუკად ვდგები ყოველთვის დილით,
და მიხარია, რომ შვილიც ჩემი
დიდი ლენინის დიდი გზით ივლის.

არა, მაინც რა პატარა ბიჭივით აუფრთხიალდა გული ამხელა კაცს, გაწითლდა, დაიბნა, სიტყვა ვეღარ გადაბა ერთმანეთს. ფუ! შენ რა გითხარი! — გაუწყრა თავისთავს გიორგი და მანქანის მინიდან ატალახებულ გზას გაჰხედა.

...მაინც ჯიბრზე ახლა გამოხტა ეს საქმე. უკვე ორი კვირაა, რაც იქეცება ამინდი. ხან კოკისპირულად წამოუშენს, ხან წვრილად ცრის, ხან წყალთოვლი ირევა ერთმანეთში. დღეს კი გამოიდარა მაინცდამაინც დღეს. კანტორაში ადრიანად მოვიდა და მიახარეს: თბილისში ხარ გამოძახებული, ჯილდო უნდა გადმოგცენო (აი, სწორედ მაშინ დაიბნა ბავშვივით ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი). მაგრამ საქმეც ზედ მოაყოლეს — ელდარში უნდა წახვიდე სასწრაფოდ, ტრაქტორების ნაწილებზეო. ჰოდა, ახლა სწორედ ელდარში მიდის, ხვალ კი თბილისში უნდა იყოს.

მანქანა ნელა მიიწევს წინ, ტალახში ეფლობა, ირწევა. გზა ისევ სველია, ალაგ-ალაგ წყლის გუბეები ჩამდგარა. მთავარ გზაზე რომ მიდიოდნენ არაუშავს, მაგრამ მინდორში სხვაა. რას იზამ, აქეთ ნაკვეთები აქვთ წითელწყაროელებს და იმასაც უნდა თვალის მოვლება.

გარშემო სულ მინდვრებია, უნაპირო, ტრიალი მინდვრები. ზოგიერთი შეიძლება კიდეც შეშინდეს მათი შემხედვარე — რა დაამუშავებს ამ ფართობსო!

წელს ბრიგადამ რვაასი ჰექტარი სიმინდი უნდა დათესოს, ექვსასი ჰექტარი მზესუმზირა, ას ოცი საკვები ჭარხალი, ას ოცი საგაზაფხულო ქერი, და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი წვრილმანია გასაკეთებელი.

აბა სხვა რისი მაქნისები არიან ივერი გონაშვილი, გაიოზ მეხრეშვილი, ვანო ჭადაგიძე, მიხეილ კონვეროვი და ყველა, მთელი ბრიგადა. ამას კი არა მთელ დედამიწას გადააბრუნებს გიორგი დოლიძის ბრიგადა, აბა, მთელ დედამიწას, ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია და...

სულ გაჩერდა ეს ვერანა მანქანა, ფეხს ვერ იკიდებს ტალახში, არა დაიძრა, წავიდა...

...ჩამოვალ თბილისიდან, დავიბნევ გულზე ლენინის ორდენს და დავივლი მთელ ქუჩებს. დე, ყველამ შეხედოს, დაინახოს. ასეა მაშ! რატომაც არა! ვანა საამაყო არ არის? ვანა სასიხარულო არ არის? მთელი რაიონი მიცნობს, რესპუბლიკა, კავშირი.

განა საამაყო არ იყო როცა გასული წლის დეკემბერში, მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში ისიც იჯდა და მონაწილეობდა პლენუმის მუშაობაში. იქ ტრაქტორისტიც ბევრი იყო, მწველავიც, მემანქანეც, ინჟინერიც, აკადემიკოსიც და მჭედელიც. მაგრამ ყველა — მოწინავე და მშრომელი.

ჰო! მჭედელზე გაახსენდა, ის ხომ პირველად მჭედლობით ჩაება შრომის ფერხულში. ნიკა აკიმოვთან სწავლობდა. ხუთი წელი კიდეც იმუშავა ზეინკლად.

მერე „ბედის ჩარხი“ სხვანაირად შეტრიალდა. ერთი წელი სატრაქტორო კურსებზე იყო თბილისში, მას შემდეგ ამ საქმეს ემსახურება.

სად არ უმუშავნია, სად არ უტარებია ტრაქტორი. პირველი „მერცხლების“ მოფრენის მოწმეც იყო. 1930 წელს, პირველად ჩვენს რესპუბლიკაში შირაქში მოვიდა კომბაინები. გიორგი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა. და აი ერთ მშვენიერ დღეს შვიდი კომბაინი მიაყენეს მეურნეობაში. უცხო, უშველებელი მანქანების როხროხი იქაურობას აყრუებდა.

რა ამბავი იყო, ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ სანახავად, არავის სჯეროდა, რომ მართლა არის ისეთი მანქანა, რომელიც თიბავს, ლეწავს და მარცვალს არჩევს... ახლა, ახლა მარტო ჩვენ კოლმეურნეობაში ოცდაოთხი ტრაქტორია, თორმეტი კომბაინი, ოცდარვა საბარგო მანქანა.

...მიდის მანქანა. გიორგი დოლიძე კი ფიქრობს, აგონდება განვლილი წლები, აგონდება შრომასა და ჯაფაში გატარებული დღეები. კახეთის ბევრ რაიონში მუშაობდა და ყველგან პატიოსნად და გამრჯედ. ყველგან მშრომელი კაცის სახელი ქონდა მოპოვებული, ჰოდა, აი შედეგიც...

მანქანა მიდის, მიირწევა გზაზე. გიორგი კი ფიქრობს, იგონებს განვლილ დღეებს.

* * *

საქართველოს უმაღლესი საბჭოს სააქტო დარბაზი. დღეს აქ ჯილდოებს გადასცემენ იმათ, ვინც მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოს კეთილდღეობის და აყვავების საქმეს შეალია.

აი, საპატიო ჯილდო, ლენინის ორდენი გადასცეს სამგორელ მწველავს სოფიო დელიბაშვილს, გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. იამჯილს.

სახალხო პოეტობას ულოცავენ გიორგი ლეონიძეს.

მერე აცხადებენ: ლენინის ორდენით ჯილდოვდება წითელი წყაროს ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი გიორგი დოლიძე.

ისევ აუფართხალდა გული გიორგის, ისევ აწითლდა, აღელდა, მაგრამ ხელი მაგრად ჩასჭიდა ჯილდოს, შეკრებილებს მიუბრუნდა და ოდნავ გაბზარული, მაგრამ მტკიცე ხმით წარმოთქვა:

— გმადლობთ, ვეცდები გავამართლო!

ბურაბ ბოგმართელი.

მურთუზ მურადოვი

თქვენ, უბუოდ, გაინტერესებთ ქალაქი ბაქო და მისი განვითარების პერსპექტივები შვიდწლედის მანძილზე. ალბათ, გინდათ იცოდეთ, თუ როგორი იქნება შვიდი წლის შემდეგ ეს ძველთა-ძველი, ჩირაღდანთა ქვეყნის დედაქალაქი, დიდებულად და ზვიადად რომ წამომართული ფირუზისფერი კასპიის ნაპირას.

ის, ვინც თუნდაც ერთი წლის წინათ ყოფილა ბაქოში, ვეღარ იცნობს მას. ბაქოში ძნელია ისეთი ქუჩის ნახვა, სადაც არ იდგეს ახალი სახლი.

ხოლო შვიდწლედის მანძილზე ქალაქი იმდენად შეიცვლება და გაფართოვდება, რომ თუ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, მოგიხდებათ ბაქოში ყოფნა დღეს და შემდეგ ჩამოხვალთ აქ 1965 წელს, სწორედ რომ დიდად გაგაკვირვებთ. ეს ცვლილებები.

ყველა, ვინც სულ ხუთი-ექვსი წლის წინათ დასტოვა ბაქო და ახლა კვლავ იქ დაბრუნებული მოისურვებს ტროლეიბუსით გასეირნებას ქალაქის პლატოზე, რასაკვირველია, არ დაუჯერებს თავის თვალებს. უკანასკნელ წლებში აქ კოლოსალური ცვლილებები მოხდა. შვიდიოდე წლის წინათ ქალაქის ამ რაიონში მისასვლელად ხეირიანი გზაც კი არ არსებობდა. ეს იყო უზარმაზარი უკაცრიელი ადგილი. მის შორიახლოს ამართულიყო სასაფლაოს რუხი ლოდები.

ახლა კი... ახლა საბჭოთა ადამიანების შემართებამ და ნებისყოფამ ეს ადგილი გადააქცია ქალაქის ერთ-ერთ კეთილმოწყობილ რაიონად. აქ გადაჰიმღლან მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებითა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებით გაშენებული ნარიმანოვისა და მშენებელთა პროსპექტები, გაყვანილია ათობით ქუჩა, იგება ფუნიკულიორი.

შეიცვალა არა მარტო ქალაქის მთიანი ნაწილის სახე. უკანასკნელ წლებში ძველი ერთსართულიანი სახლების ადგილზე გაშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ქალაქის ახლოს წარმოიშვა თანამედროვე კეთილმოწყობილი უბნები.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ბაქოს საქალაქო მეურნეობის გასავითარებლად დახარჯულია ერთ მილიარდ მანეთზე მეტი. ამავე პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაეცა 350 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

ბაქოს იცნობენ, როგორც ნავთობის ქალაქს. იგი ახლაც ამაყობს თავისი წიაღის „შავი ოქროთი". ნავთობიანი ბაქოს სახელ-დიდება ახლა კიდევ უფრო გაიზარდა. გიგანტური ალვის ხეებივით ცაში აწვდილი, აფშერონის ნავთობის კოშკურები უკან იტოვებენ ნახევარკუნძულის ქვიშიან ხმელეთს და თავშესაფარს პოულობენ ჰაღაროსან, მუდამ მოუსვენარ კასპიის ზედაპირზე. დღეს ბაქოს კოშკურების ჩირაღდნები ბრიალებენ შორს — ღია ზღვაში, ნაპირიდან სამოცდაათ კილომეტრზე მდებარე სახელგანთქმულ „ნავთობიან ქვებზე".

„ნავთობიანი ქვები" ძველი ბაქოს უმცროსი ძმაა, რომელიც დაიბადა აზვირთებულ ზღვის ტალღებისა და მბაფრი ქარების შუაგულში. ქალაქი ზღვაში! ეს თითქოს რაღაც ფანტასტიკურია, მაგრამ სინამდვილეა! იგი აგებულია უზარმაზარ ფოლადის კუნძულზე. აქ თანაბარ მწკრივებად ზვიადად ამართულან ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, კულტურის სასახლე, მაღაზიები, სასადილო, საფოსტო განყოფილება, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც საჭიროა ქალაქის ნორმალური ცხოვრებისათვის.

ახლა... როგორ შეიცვლება ზღვის ქალაქი შვიდწლედში! მისი საბურღი კოშკურები კიდევ უფრო შორს შეიჭრებიან ზღვაში და ოცდაათი-ორმოცი მეტრის სიღრმეზე ახალ ჭაბურღილებს ამობურღავენ კასპიის ფსკერში.

დღევანდელი ბაქო არა მარტო ნავთობის ქალაქია, იგი მნიშვნელოვანი მრავალდარგიანი მრეწველობის ინდუსტრიული ცენტრია. ამჟამად აქ ვითარდება ქიმიური მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა და სხვ. მძიმე მრეწველობასთან ერთად ქალაქში მუშაობენ მსუბუქი და კვების მრეწველობის მძლავრი საწარმოები.

ახლა ბაქოდან საზღვარგარეთ გააქვთ 120 სახელწოდების სხვადასხვა სამრეწველო ნახელავი. მათ შორისაა — ნავთობისა და საბურღავი მოწყობილობა, ცემენტი, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, სხვადასხვა დაზგები, ელექტროძრავები, მოძრავი ელექტროსადგურები და მრავალი სხვ.

შვიდწლედში ბაქოში აიგება იმდენი საცხოვრებელი ფართობი, რამდენიც აიგო აქ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი ხნის მანძილზე. ამის შედეგად 1965 წელს ქალაქის ყოველი მცხოვრები უზრუნველყოფილი იქნება ბინით.

რესპუბლიკის არქიტექტორები მიზნად ისახავენ გააშენონ ქალაქი დიდ-დიდ კვარტალებად, რომლებიც დამოუკიდებელ მიკრო-რაიონებს წარმოადგენენ.

მიკრო-რაიონში თვითეული ოჯახი მიიღებს დამოუკიდებელ ბინას. ბაქოს ხუროთმოძღვრები ახლა მუშაობენ რესპუბლიკური სტადიონის ჩრდილოეთით 75 ათას კვადრატული მეტრი ბინებისათვის ახალი მიკრო-რაიონის დაპროექტებაზე, გარდა ამისა, აიგება ახალი საცხოვრებელი მასივი 200 ათასი კვადრატული მეტრის მოცულობით.

სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტთა მშენებლობისათვის შვიდწლედის მანძილზე ბაქოში დაიხარჯება 260 მილიონ მანეთზე მეტი. აიგება 31 საბავშვო ბაღი, 11 საბავშვო ბაგა, 7 საავადმყოფო, სკოლა-ინტერნატები.

მალე დამთავრდება აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობის კომპლექსის, აზერბაიჯანის დრამატული თეატრის ახალი შენობის, სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის, კინოსტუდიისა და სახელმწიფო ცირკის მშენებლობა და, აგრეთვე, აიგება პანორამული კინოთეატრი 2500 მაყურებლისათვის.

უკანასკნელ წლებში ბაქო ინახულა მრავალმა საზღვარგარეთელმა სტუმარმა. ბაქოს ესტუმრნენ ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო, ბირმის კავშირის ყოფილი პრემიერ-მინისტრი უ ნუ, ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტი სარვანალი რადჰა კრიშნანი, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ქემალ აბდულ ნასერი და ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის მრავალი ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი. ყველა ისინი აღტაცებული დარჩნენ ბაქოს სილამაზით.

ვისურვებდით, რათა ამ ძვირფასმა სტუმრებმა და თქვენთან ჩვენც 1965 წელს კვლავ ვინახულოთ ბაქო და დავინახოთ ის, ჭეშმარიტად დიადი ცვლილებები, რაც მოხდება შვიდი წლის შემდეგ ბაქოში.

ჰყვავის და იფურჩქნება არა მარტო ბაქო, არამედ მთელი აზერბაიჯანი. ჰყვავიან ქალაქები: ლენინაკანი, ბაკოვბადი, მინგეჩაური, ჩვენი, რუსეთის ძმა — აზერბაიჯანელ მეტალურგთა ქალაქი სუმგაითი.

სერგეი მირონის-ძე კიროვი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მეთაურობდა აზერბაიჯანის პარტიულ ორგანიზაციას, ამბობდა:

— საბჭოთა ხელისუფლების **ჩამოყალიბებიდ** მეორე დღეს ამხანაგმა ლენინმა თქვა, რომ ამ ქვეყნიდან ჩვენ შეგვძლებთ შევქმნათ ყოველმხრივ სანიმუშო რესპუბლიკა აღმოსავლეთის ხალხებისათვის. ეს იქნება ჩვენი საქმის საუკეთესო აგიტაცია, საუკეთესო პროპაგანდა ამ უზარმაზარ მრავალეროვნებიან აღმოსავლეთში.

ნორაშენის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული ბამბის მკრეფავი მასმა აკპეროვა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოძმე აზერბაიჯანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მეფის რუსეთის ჩამორჩენილ განაპირა ქვეყნებიდან გადაიქცა მოწინავე აყვავებულ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს განვითარებული მრეწველობა და მნიშვნელოვნად მექანიზებული სოფლის მეურნეობა.

მოძმე აზერბაიჯანელმა ხალხმა კარგად იცის, რომ მთელი თავისი წარმატებებით იგი უმადლის ლენინის პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას, დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებას.

აზერბაიჯანელი ხალხი თვალსაჩინივით უფრთხილდება ოქტომბრის მონაპოვარს, ყოველდღიურად ეუფლება და იპყრობს სულ ახალ და ახალ მწვერვალებს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

ჯერჯილ ჟოლეე ალბალიჯანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარიზელები ნ. ს. ხრუშჩოვის რეზიდენციასთან.

ნ. ს. ხრუშჩოვი დიპლომატიური პრესის ასოციაციაში.

ნ. ს. ხრუშჩოვი და საფრანგეთის პრეზიდენტი შ. დე გოლი მოლაპარაკების შემდეგ.

რენოს ქარხნის მუშები ესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვს.

ნ. ს. ხრუშჩოვი საფრანგეთში

მიმდინარე წლის მარტის ბოლო რიცხვებში პრეზიდენტ შარლ დე გოლის მიწვევით საფრანგეთში სტუმრად იმყოფებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი.

ყველგან, სადაც კი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი გამოჩნდებოდა, საფრანგეთის მშრომელები, შესანიშნავი ფრანგი ხალხის ათასობით წარმომადგენლები გულთბილ შეხვედრას უმართავდნენ საბჭოთა ქვეყნის მეთაურს, გამოხატავდნენ ერთგულებას იმ ტრადიციული მეგობრობისადმი, რომელმაც ესოდენ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორი დიდი ქვეყნის ისტორიაში.

ლენინგორელები

ჯიმშერ ენუქიძე

მანქანამ 83-ე კილომეტრის მიჯნა გადაკვეთა და გამოჩნდა წარწერა: „ლენინგორი“. ფერდობზე ყოფილი ქსნის ერისთავის ციხე-დარბაზია წამოჭიმული. მგზავრი მისკენ გვითითებს და სიამაყით დასძენს, — ჩქარა ამ ციხე-დარბაზში მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გავხსნით... ციხე-დარბაზი ჩამოვიტოვეთ და მოედანზე შევჩერდით. თვალწინ დიდი ლენინის სახელობის პატარა რაიონული ცენტრი გადაიშალა...

რაიკომის მდივნის, თენგიზ დურგლიშვილის ოთახში, ლარგვისის სასოფლო საბჭოს უკანამხარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სანდრო ჩიტიშვილი გავიცანით. სანდრო ჩიტიშვილი 25 წელზე მეტია, რაც ლენინგორის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობას უცვლელად ხელმძღვანელობს. 1951 წლიდან, კოლმეურნეობის გამსხვილების შემდეგ აქ, მაღალმთიან მხარეში, დიდი შრომითი გამარჯვებები მოიპოვეს. კოლმეურნეობაში წამყვანი ადგილი მეცხვარეობას უჭირავს.

აღმზრდელი ლეილა მაწიაშვილი და ლენინგორის პატარა მოქალაქეები.

— შვიდწლედი ხუთ წელიწადში, ასეთია ჩვენი ამოცანა, — გვეუბნება სანდრო ჩიტიშვილი და დასძენს: — კომუნისტური შრომის მეცხვარეობის ბრიგადა, რომელსაც ახალგაზრდა კომუნისტი დავით ჩიტიშვილი ხელმძღვანელობს შვიდწლედის დავალებებს, ვფიქრობ, 5 წელზე უფრო ადრე შეასრულებს... და მართლაც, რომელი ერთი ჩამოთვალოს სანდრო ჩიტიშვილმა. შარშან თუ სახელმწიფოს 44 ტონა ხორცი მიჰყიდა, წელს 200 ტონაზე მეტს მიჰყიდიან, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ კომლზე დაახლოებით 2,5 ტონა ხორცი უნდა აწარმოონ. ახლა ცხვარი ყიზლარის საძოვრებზე ჰყავთ, დოლი კარგად დამთავრდა, მაისის პირველ რიცხვებში კი ცხვარი დაიძრება და საძოვრებს მოეფინება...

რაიკომის მდივანი უმატებს:—შვიდწლედის ხუთ წელში შესრულება ლენინგორელთა ბევრ კოლმეურნეობას აქვს გადაწყვეტილი. წინაგარის კოლმეურნეობას, რომელსაც ივანე ძუგაევი ხელმძღვანელობს, წლიური შემოსავალი 3,5 მილიონ მანეთზე მეტი აქვს. უკანასკნელ წლებში ამ კოლმეურნეობაში დიდი აღმავლობაა. აშენდა მექანიზებული ბოსელი, ტიპიური საბობრე, საღორე, საფრინველე, შენდება კულტურის სახლი... გაიზარდა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა, ხელი მოკიდეს მეცენახეობას, თვითეული საფურაქე ძროხისგან 1422 კგ. რძე მიიღეს; წინაგარის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავმა ეცგენია კოზიევამ გასულ წელს თითო საფურაქე ძროხისგან ვალდებულებით აღებული 2.800 კგ. რძის ნაცვლად 3.200 კგ. რძე მიიღო. ეს ის ეცგენია კოზიევაა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ქალთა დღის — 8 მარტის 50 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით — „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვეს. რომელ ერთზე მოგითხროთ, — განაგრძობს რაიკომის მდივანი, — ლენინგორელები, ყველგან არიან, ყველგან თავის სიტყვას ამბობენ. ჩვენს ხეობას გასულ წელს აშენებული სარეტრანსლაციო სადგური შეემატა, ცენტრმა ახალი წყალსადენი მიიღო, აშენდება კინოთეატრი, ასამდე გლეხი იშენებს სახლს, გაყვანილ იქნა რაიონთან დამაკავშირებელი გზატკეცილი...

ამხანაგი თენგიზი გვირჩევს ადგილებზე — წარმოებაში, კოლმეურნეობაში, დაწესებულებებში — გავიცნოთ ლენინგორელები. ჩვენც არ ვაყოვნებთ, აი ერთ-ერთი: რაიონის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატი. მის საამქროებში მუშაობა დუღს და გადადუღს. კომბინატში მრავალი საამქროა: ხილის წვენის, ლიმონათის ჩამოსხმის თუ ღუმელების, თუნუქის, სამხერხაო, ნალსაჭრელი და კირისა. ყველა ეს საამქრო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. მიღებული პროდუქციის ნაწილი რაიონის ფარგლებს გარეთაც გადის...

ლენინგორის „ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობა ახლახან შეუერთდა ციხისოფლის წინათ ჩამორჩენილ კოლმეურნეობას. ეს კოლმეურნეობა ჯერ კიდევ არაა მოწინავეთა რიგებში, მაგრამ მისი ახალი თავმჯდომარე დრიაევი ფიქრობს, რომ უახლოეს ხანში კოლმეურნეობა აღმავლობის გზას დაადგება. მათი მეურნეობის წამყვანი დარგებია მევენახეობა-მებაღეობა და მეცხოველეობა. გასულ წელს დიდი ხარჯები ჰქონდათ: ყიზლარის საძოვრებზე ცხვრის სადგომები გააშენეს, გაისტუმრეს ძველი ვალები... ყანჩავეთში, სადაც სამკურნალო გოგირდოვანი წყლებია, ყანჩავეთის, ბოლისა და იკოთის კოლმეურნეებთან ერთად აშენებენ 100 ადგილიან დასასვენებელ სახლს. ბევრი კოლმეურნე მოწინავეთა რიგებში ჩამდგარა: ძროხების მომვლელი ვაზნო კორბესოვი 23 ძროხას პატრონობს. მასზე გაპიროვნებულმა ოცდასამივე ძროხამ 23 ხბო მოიგო. ლადო ხრიკული მებაღეა. მისთვის გამოყოფილ ნაკვეთზე ყოველთვის უხვი მოსავალი იკრიფება. გასულ წელს ოლია კიბილოვამ 7 ძროხას მოუარა და თვითეული საფურაქე ძროხისგან 2.752 ლიტრი რძე ჩამოწველა...

აქ ჯერ ბევრია გასაკეთებელი, კოლმეურნეთა შემოსავალი შრომადღეზე კვლავ დაბალია...

— კოლმეურნეობა მეტს აღარ მოითმენს. ლენინგორელები ლენინის სახელს არ შევარცხვენთ, უფრო მუყაითად ვიმუშავებთ, დავირაზმებით და შვიდწლედს ხუთწლედში ჩვენც შევასრულებთ.

აი ჩვენი ლენინური სიტყვა, რომელსაც ლენინური საქმეები მოჰყვება, — გვეუბნება დრიაევი და ხელს მაგრად გვართმევს...

გიორგი ხოცუაშვილის გამოთქმით რომ ვთქვათ, იგი ძველი „პარტიზანელია“. მას რევოლუციური მოღვაწეობა 1905 წელს დაუწყია. მას ძველ ახალგორში ხშირად ჩამოუტანია პროკლამაციები და თანასოფლელებს შორის გაუვრცელებია.

— ერთხელ თბილისში, მახათას მთაზე, მიტინგს დავესწარი, — გვიამბობს გიორგი, — ქალი გამოდიოდა ქალთა უუფლებო მდგომარეობის შესახებ... ამასობაში ყაზახები დაგვესივნენ...

რამდენი რამ გადახდა გიორგის — დაპატიმრებისა და დახვრეტის შიში, ცემა, დაცინვა, მაგრამ იგი ყოველთვის მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქარცეცხლში იდგა. ბრძოლითა და მახვილით მოპოვებულ თავისუფლებაში გიორგისაც უდევს წილი... სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი რევოლუციონერი გულთბილად გვემშვიდობება...

ჩვენი სტუმრობა ლენინგორის სბავშვო ბაღში დიდხანს არ გაგრძელებულა, — ხელის შეშლა არ გვინდოდა პატარებისათვის. ერთნი თამაშობდნენ, მეორენი კი ახალგაზრდა აღმზრდელს — ლეილა მაწიაშვილს მისჩერებოდნენ, რომელიც ახალ ზღაპარს უკითხავდა მოზარდებს. პატარა ყვავილებისაგან „ინტერვიუ“ ფოტოკორესპონდენტმა გურამ თიკანაძემ აიღო. პატარა ლენინგორელების ბედნიერი სახეები მან ფოტოფირზე აღბეჭდა...

ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. დრიაევი.

ლენინგორის მკვდრი გიორგი ხოცუაშვილი.

ს/ოფ. უკანამხარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ჩიტიშვილი.

ლენინის სახელობის ქუჩა.



ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის შესასვლელთან.

ამ დღეებში, როდესაც მთელი საბჭოთა ქვეყანა და პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს დიდი ლენინის დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავს, მხატვარმა ალ. ბანძელაძემ ჩამოიარა თბილისის ქუჩები...

თბილისის მრავალი ადგილი ლენინის სახელთანაა დაკავშირებული... ლენინის მოედანი და ლენინის ქუჩა... ლენინის მუზეუმი და ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი... დაბადებიდან განუყრელია საბჭოთა ადამიანისათვის ლენინის სახელი... ამ დღეებში ნორჩი ლენინელების, მშრომელთა დიდი ბელადის სახელობის ინსტიტუტში მოსწავლე სტუდენტობის და ყველა მშრომელის გული სავსეა მადლიერების გრძნობით საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის გენიალური დამაარსებლის მიმართ. ისინი კიდევ ერთხელ იგონებენ ლენინს, კიდევ ერთხელ გაეცნობიან მისი ბიოგრაფიის ფურცლებს მუზეუმის დარბაზებში.

ლენინის მუზეუმში.



ნორჩი ლენინელები.

8 მარტი

ი. თულაშვილი

რაც უფრო მაღლა ადიოდა მანქანა, მით უფრო წარმტაცი ხდებოდა სოჭის მიდამოების მშვენიერი ბუნება. მზერას იტაცებდა უზარმაზარი მთები, დაბურული ტყეებით და მთიდან მომჩქეფარე წყაროებით.

— აგერ პლასტუნკაც! — მითხრა თანამგზავრმა და ფიქრებიდან გამომარკვია.

ჩემი თანამგზავრი ხანში შესული სოჭელი ქართველი იყო და საქმის ცოდნით მიამბობდა იქაური ქართველი მოსახლეობის, სოფელ პლასტუნკის წარსულს და აწმყოს.

კრასნოდარის მხარის ადლერის რაიონის სოფელი პლასტუნკა სოჭის ხეობაშია მოთავსებული და სოჭიდან 13-15 კილომეტრითაა დაშორებული. ეს ადგილი დასახლებულია რაჭა-ლეჩხუმიდან გადმოსახლებულებით. თავის ახალ სამყოფელს მათ „ლეჩხუმს“ უწოდეს, მაგრამ ეს სახელი დღემდე არ შერჩა. დიდი შრომის დახარჯვა მოუხდათ სოფლის დამაარსებლებს, ამ ტყით და ჭაობით დაფარული მიწები საცხოვრებელ ადგილად რომ ექციათ. სოფლის ადგილმდებარეობა შესანიშნავია, მეტადრე ზაფხულობით, როდესაც მთელი სოფელი იმალება ამწვანებული ხეების ჩრდილქვეშ.

დღევანდელი პლასტუნკა ისეთი როდია, როგორიც ამ ნახევარი საუკუნის წინათ იყო. 1930 წელს აქ ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, რომელმაც მოიპოვა საპატიო უფლება მონაწილეობა მიეღო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. უკანასკნელად იგი გამოფენის მონაწილე იყო 1957_1958 წლებში.

კოლმეურნეობამ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია მევენახეობის, მებაღეობის, ჩაის და მეთამბაქოების დარგში. პლასტუნკელმა კოლმეურნეებმა: შოთა ფრუიძემ, გრიგოლ მურუსიძემ, ჭაშვარდი ცხვედიანმა, ნადია ფრუიძემ, ზინა თოთაძემ, 82 წლის ილარიონ ფრუიძემ, ბრიგადირებმა ბაგრატ ბაბუხადიამ, აქვსენტი ცქიფურიშვილმა და ბევრმა სხვამ თავიანთი შრომით სახელი გაითქვეს მთელ კრასნოდარის მხარეში. კოლმეურნეობის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის ახალგაზრდა თავმჯდომარეს, ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტს — ვანო ეფრემის ძე უჩაძეს. იგი 22 წლისა იყო, როდესაც პლასტუნკის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

სოფელ პლასტუნკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წარმატებებსა და სოფლის კეთილმოწყობაში საკმაო ღვაწლი მიუძღვის ვლადიმერ თეოდორის ძე ფრუიძეს, რომელიც 1930 წლიდან 1955 წლამდე მისი შეუცვლელი თავმჯდომარე იყო. ამჟამად იგი ნავაგინსკის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა. ამ საბჭოშია გაერთიანებული სოჭის გარშემო მყოფი ორმოციოდე სოფელი. მათ შორის სოფელი პლასტუნკაც.

ამჟამად სოფელ პლასტუნკის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა გადაიქცა საბჭოთა მეურნეობად, რომლის მუშა-მოსამსახურეები კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძვიან სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებების შესრულებისათვის.

კოლმეურნეობის გაძლიერებასთან ერთად მდიდრდებოდა და ლამაზდებოდა სოფელიც. გასულ საუკუნეში ნაუცბათევად გაკეთებული ქოხებისა და გომურების მაგივრად დღეს სოფელი პლასტუნკა ყოველმხრივ კეთილმოწყობილია. ახლად გაკეთებულ სტალინის და ორჯონიკიძის ქუჩებს ამშვენებს ბაღნარში გაშენებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები. სოფლის ყველა მოსახლე სარგებლობს ელექტროენერგიით და რადიომომსახურებით. სოფელში არის ქართული შვიდწლიანი სკოლა, სადაც 11 მასწავლებელი და 64 მოსწავლეა. (დირექტორია ვერა ივანეს ასული ფრუიძე), სოფლის მაღაზია, საფოსტო პუნქტი, სახერხი მანქანა, წისქვილი, ორი ღვინის მარანი, რომელიც ამარაგებს სოჭას.

სოფელ პლასტუნკას სამართლიანად შეუძლიან იამაყოს თავისი ინტელიგენციით. დიდ სამამულო ომის წლებში პლასტუნკაში გაზრდილმა მრავალმა ადამიანმა გმირულად დაიცვა სამშობლო, ბევრმა დაიმსახურა ორდენები და გამარჯვებული დაუბრუნდა საყვარელ სოფელს. კინო, რადიო, ტელევიზია, წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, მუსიკალური ნაწარმოებების, ლექციებისა და საუბრების მოსმენა ისევე აუცილებელი გახდა მათთვის, როგორც თვით შრომა.

სოფელ პლასტუნკაში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას არ აქვთ დავიწყებული ქართული სიმღერები და ცეკვები. სასოფლო კლუბებთან არსებული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა (ხელმძღვანელები შალიკო ირემაძე და მერი ლეფისვერიძე) 1958 წელს კრასნოდარის სამხარეო ფესტივალზე 80 მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივს შორის მეორე ადგილი დაიკავა და დაჯილდოებული იქნა საპატიო სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

სოფლის ინტელიგენციის ინიციატივით კლუბში ჩატარებულია ილია ჭავჭავაძის, ეგნატე ნინოშვილის, ტიციან ტაბიძის, ლადო ასათიანისა და სხვა თანამედროვე მწერლებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები. წარმატებით მუშაობს თეატრალური კოლექტივიც, რომელმაც მიმდინარე წელს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ხუტა გაგუას ხელმძღვანელობით დადგა „კაკო ყაჩაღი“.

მიმდინარე წლის აგვისტოში სოფელ პლასტუნკის მოსახლეობამ საქ. სსრ კულტურის მინისტრის ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილის სახელზე გამოგზავნა უღრმესი მადლობა იმ ყურადღებისა და დახმარებისათვის, რომელიც მათ გაუწია საქ. სსრ კულტურის სამინისტრომ, რომლის ბრძანების თანახმად პლასტუნკის სასოფლო კლუბთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს გადაეცა ქართული ნაციონალური ტანსაცმელი, ქართული მუსიკალური საკრავები და სხვ., სულ 48.000 მანეთის, ხოლო კლუბის ბიბლიოთეკას 2.000 მანეთის ღირებულების ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა საუკეთესო ქართული მხატვრული ლიტერატურა.

აღსანიშნავია ის მხატვრული მომსახურებაც, რომელიც გაუწია პლასტუნკელებს სოხუმის სახელმწიფო თეატრმა და რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობთა ერთმა ჯგუფმა.

ამჟამად პლასტუნკელმა ქართველებმა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად დიდი მზადება დაიწყეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად და გამოთქვეს სურვილი, რომ ამ ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილ მე-9 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მათი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმაც მიიღოს მონაწილეობა.

დურსუნი ოცდაორი წლისა იყო, როდესაც პირველად თავის სიცოცხლეში დაინახა ჭაბურღილის — კოშკურა... მას აქეთ, რაც 1934 წელს კომკავშირის მოწოდებით ახალგაზრდა ზეინკალმა მიატოვა ბათუმი და კომკავშირული საგზურით შირაქში ჩავიდა და ზეინკლად დაიწყო მუშაობა მირზაანში, მეოთხედმა საუკუნემ გაიარა. ახლა უკვე ოცდა მეექვსე წელიწადია, რაც ბურღვის ოსტატი დურსუნ კაკალაძე ბურღავს საქართველოს მიწას.

ამ წლების განმავლობაში ერთი ჭაბურღილი რომ ებურღა, ახლა მისი სიღრმე სამოც კილომეტრს გადასცდებოდა... ასეთია დურსუნის მიერ გაყვანილი ორმოცდაათზე მეტი ჭაბურღილის საერთო სიღრმე. ეს ჭაბურღილები საქართველოს მრავალ კუთხეშია გაბნეული — ყველგან სადაც წარმოებდა ბურღვა ნავთის საძიებოდ ან მოსაპოვებლად, მინერალური წყლის გამოსავლინებლად თუ დედამიწის ქერქის აგებულების გამოსარკვევად.

დურსუნის პირადი საქმე რომ დათვალიერდეს და ის ადგილები გადაიტანოთ რუკაზე, სადაც მას უმუშავნია — თქვენ სრული წარმოდგენა გექნებათ იმის შესახებ, თუ სად ეძებდნენ საქართველოს გეოლოგები ნავთობს. ოცზე მეტი ჭაბურღილი გაბურღა დურსუნმა მირზაანში, ახლა მრავალი მათგანი საექსპლოატაციოდაა გადაცემული, მერე კავთისხევში ბურღავდა, მერე აფხაზეთში გაბურღა მოქვის საყრდენი ჭაბურღილი, საყრდენს — უწოდებენ რადგან ამ ჭაბურღილის

თენგიზ კანდელაკი.

ზაურ მანძულაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურსუნ კაკალაძე

ბურღვის ოსტატი და მისი თანაშემწეები

მეშვეობით ადგენენ დედამიწის ქერქის აგებულებას ამ მიდამოებში და აგებენ ზუსტ გეოლოგიურ ჩრილებს.

მეორე ასეთივე ჭაბურღილი ბზიფში გაიყვანა... მერე სოხუმში მინერალური წყლების ჭაბურღილებს ბურღავდა, ახლა კი, 1956 წლიდან გარეკახეთში მუშაობს — ათამდე ჭაბურღილი საცხენისში გაბურღა...

ეს მესამე თვეა რაც № 5 ჭაბურღილის რკინის კოშკურა წყაროსთავას ბოლოზე, ზალიკაანთ ხევში აღიმართა და გეოლოგებმა პატარძეულის ანტიკლინის ჩრდილოეთ ფრთაზე ჯერ მხოლოდ ერთი წერტილით აღნიშნეს ბურღვის ადგილი — მემონტაჟეებმა ჩააბარეს ბურღვის ოსტატს ბურღვის რთული აგრეგატები — აინთო პირველი ელნათურა ორმოცმეტრიან კოშკურის თავზე, ამუშავდა ძრავი და მას აქეთ არც დღე და არც ღამე არ შეწყვეტილა ხან თანაბარი და მშვიდობიანი, ხან კი მბორგავი და შემტევი დგანდგარი საბურღავი დაზგისა.

ოცდახუთი წლის განმავლობაში დურსუნს მრავალი ტიპის საბურღავ დაზგაზე უმუშავნია — მაგრამ ასეთი სრულყოფილი საბურღავი მოწყობილობა, არასოდეს არ ყოფილა მის ხელთ. საბჭოთა კონსტრუქტორებმა შექმნეს მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო და მოწინავე საბურღავი ტექნიკა. ახლა დურსუნ კაკალაძე „ურალმაშის“ მიერ გამოშვებულ უახლესი კონსტრუქციის საროტორო ბურღით ხვრეტავს დედამიწის ქერქს... იგი დაუფლებულია ტურბობურღვის ტექნიკასაც. ეს ის საბჭოური ტურბობურღია, რომლის დამზადების ლიცენზია

> საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ვ. მჟავანაძემ თქვა:... «გამოჩენილ მეცნიერ-სპეციალისტთა დასკვნები საფუძველს იძლევიან ვიფიქროთ რომ საქართველოში შეიძლება გამოვლინდეს ნავთობისა და გაზის დიდი სამრეწველო მნიშვნელობის მარაგი».
>
> საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოს სს რესპუბლიკაში ნავთობისა და გაზის გეოლოგიურ-საძიებო და საკვლევი სამუშაოების გაუმჯობესებისათვის.
>
> საქართველოს მენავთობენი თავგამოდებით იბრძვიან კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

ბულ სატეხს ზევიდან ამუშავებდა — საბურღავი შტანგების მეშვეობით, ახლა საბურღავი იარაღი დედამიწის სიღრმეშია ჩაშვებული. იგი წარმოადგენს საგანგებო ტურბინს, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ჭაბურღილში საბურღავ მილებით ზევიდან ჩაშვებულ თიხის ხსნარს, ხოლო ეს, დედამიწის სიღრმეში მომუშავე ტურბინი აბრუნებს თვით საბურღავ სატეხს.

ჭაბურღილის სანგრევში სატეხის მიერ მონგრეული და დაკუწმაწებული ქანები — ამავე თიხის ხსნარს

მუშავე ტურბო-ბურღის მდგომარეობას, — მის განკარგულებაში რთული და ზუსტი აპარატურაა. ახლა ბურღვის ოსტატი — მრავალნაირი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტია. რომელიც ოცზე მეტ ადამიანის მუშაობას და რთულ ტექნიკას განაგებს...

„გაზაფხულის იმ ქარიან დილას, როდესაც ჩვენ მოვინახულეთ დურსუნ კაკალაძის ჭაბურღილი № 5— სატეხი 1363 მეტრის სიღრმეზე ებრძოდა მაიკოპის ასაკის თიხებს — მოახლოვებული იყო ნავთობიანი პროდუქტიული წყების შრეები და ამიტომ ბრიგადა მეტი დაძაბულობით და გულისყურით მუშაობდა — პირველ ცვლას გამოცდილი მბურღავი მარტყოფელი თენგიზ კანდელაკი ხელმძღვანელობს, მაგრამ ბურღვის ოსტატი არც ახლა შორდება ჭაბურღილს, იქვე პატარა სტანდარტულ სახლში ცხოვრობს და ოთხივე ცვლაში ყოველ წუთს მზად არის დაეხმაროს თავის ნამოწაფრებსა თუ მოწაფეებს.

ჭაბურღილზე ოცზე მეტი კაცი მუშაობს და უმეტესობამ აქვე, საცხენისში თუ ნორიოში, შეიძინეს სპეციალობა, შეესისხლხორცენ მას და თავის სიცოცხლის საქმედ გაიხადეს. მეორე ცვლის მბურღავმა სიმონ ცაბაურმა — კასპში დაიწყო მუშაობა დამხმარე მუშად — ახლა ცვლას ხელმძღვანელობს, ასევეა ხაშმელი

ზევით სწევს მთელ ამ კოლონას, როდესაც იგი კოშკურის სიმაღლეზე აიწევა — 30-40 მეტრის სიგრძე „სანთელს“ (ასე ეძახიან მბურღავები 3-4 მილისაგან შემდგარ კოლონის ნაწილს) მოახრახნიან მთელ კოლონას — გვერდზე მიაყუდებენ და ახლა კიდევ აწევენ ზევით კოლონას... თუ ვივარაუდებთ, რომ მთელი კოლონა ორმოციოდე ასეთ „სანთლისგან“ შესდგება, ხოლო თვითეული მათგანი რამდენიმე ასეულ კილოს იწონის, ამასთანავე, მოხსნის დროს ხშირად თიხოვანი ხსნარის „შხაპი“ გადაევ-

ითხოვეს ამერიკულმა ფირმებმა და რომელიც 1956 წელს გადაეცა ამერიკელ ფირმას „დრესერ ინდასტრის“, როგორც ყველაზე მოწინავე საბურღავი მოწყობილობა.

იმ წელს, როდესაც ამერიკელებმა ითხოვეს ტურბობურღის დამზადების ლიცენზია, დურსუნ კაკალაძეს ამ ბურღვით უკვე რამდენიმე ათასი მეტრი ქონდა გაბურღული.

საბჭოთა კონსტრუქტორების მიერ დამუშავებული ტურბობურღის კონსტრუქცია მეტად ორიგინალურია. თუ აქამდე ყველა ტიპის საბურღავი დაზგა მიწის სიღრმეში ჩაშვე-

ამოაქვს დედამიწის ზედაპირზე (ხსნარი ახლა უკვე საბურღავი მილებისა და ჭაბურღილის სამაგრ მილებს შორის დარჩენილ სივრცეში მოძრაობს). ტურბო-ბურღი დიდი სიჩქარით მუშაობს, წუთში 400-600 ბრუნს იძლევა. ამ რთული აგრეგატის მართვას დიდი ტექნიკური ცოდნა და გამოცდილება უნდა — იცვლება სიღრმე, ქანების სიმაგრე და სხვა თვისებები— და ყველა მათ სათანადო ბურღვის რეჟიმი უნდა შეურჩიოს ოსტატმა... და იმისათვის რომ მან ადევნოს თვალი ბურღვის მიმდინარეობას, მისი გაყვანის სიზუსტეს, სიღრმეში მო-

ალექსი იმედაშვილი, ხოლო ნინოწმინდელმა ნიკო მეკოშკიშვილმა თბილისში ნავთობის ტექნიკუმი დაამთავრა და ისევ ნინოწმინდას დაუბრუნდა.

...თენგიზ კანდელაკის ცვლას — ამ შვიდ კაცს, რომელიც ცვლას შეადგენენ — მძიმე სანუშაო შეხვდათ იმ დილას. ჯერ იყო და 1363 მეტრის სიღრმიდან საბურღავი სატეხი უნდა ამოეღოთ შესაცვლელად — ამისთვის კი საჭირო იყო საბურღავი შტანგების მთელი კოლონის ამოღება. ჯალამბარი

ლება მბურღავებს, ამასთანავე ამ ადგილებში შემოჩვეული ქარი გლეჯს იქაურობას...

ხოლო როდესაც კოლონა ამოიღეს და სატეხი შეცვალეს, საჭირო იყო მისი ასევე სწრაფად ჩაშვება, რათა ისედაც გაცდენილი დრო აღედგინათ და ბურღვას შესდგომოდნენ... და თუმცა მძლავრი ჯალამბარი სწრაფად უშვებს ქვევით შტანგებს, და თვით მიხრახვნაც მექანიკურად წარმოებს, მაინც მბურღავს თენგიზ კანდელაკს, და მის თანაშემწეებს, ნინოწმინდელ

ვალიკო კონიაშვილი.



გურამ ძიძიკაშვილი

ვანო უდუმაშვილი

ბიკენტი ასრათაშვილი

გიორგი როსტომაშვილი

ბიჭებს ზაურ მანძულაშვილს და დამხმარეებს ვალიკო კონიაშვილს და ბიკენტი ასათიანშვილს ჯარასავით უხდებოდათ ტრიალი, რომ დროზე მოერგოთ ერთმანეთზე შტანგები, დროზე გაემაგრებინათ და ჩაეშვათ, არც ზეინკალი პატარძეულელი ვანო უდუმაშვილი, ელექტრომონტიორი ნორიოელი გურამ ძიძიკაშვილი და კოლექტორი ნინოწმინდელი გიორგი როსტომაშვილი იყვნენ მოცლილი, ხან ზევით ორმოცმეტრიან სიმაღლეზე საჭირო იყო კრონბლოკის დახედვა, ხან თიხის ხსნარის ხვედრითი წონის შემოწმება — მარჯვე და ძალამოხდევით თუ, როგორ შესცქეროდნენ მას თვალებში ბიჭები, ჩანდა რომ აქ იგია პატრონი და მიმმართველი ყოველივესი რაც აქ ხდება...

დურსუნ კაკალაძის ბრიგადა რიტმულად და შეწყობილად მუშაობს — შარშან მათ 3815 მეტრი გაბურღეს და 117 პროცენტით შეასრულეს გეგმა. წელს იანვარში და თებერვალში აღებული ტემპისთვის არ უღალატიათ. სულ უფრო ღრმად იჭრება გარე კახეთის მიწაში სამ საღარავიანი სატეხი, რომელსაც დურსუნ კაკალაძე და მისი ბიჭები მიმართავენ, მალე იგი საპროექტო სიღრმემდე დაჰარბებულ და მარჯვე ახალგაზრდა ბიჭებისგან (ამ რაიონიდან ქართული ჭიდაობის მრავალი ფალავანი გამოსულა) შემდგარი ბრიგადა შეწყობილად და ხალისიანად მუშაობდა. და მათ შორის წყნარად და აუჩქარებლად მოძრაობდა, თითქოს მას არც ეხებოდა ყოველივე ის, რაც აქ ხდებოდა — ტანმორჩილი ქერა ადამიანი, დაბალი ხმით რამდენიმე სიტყვას იტყოდა, ანდა ხელით ანიშნებდა (ძრავების ხმაურში ხმა არ ისმოდა) და თუმცა არც მისი ხმა ისმოდა, არც ზედმეტად უფროსობას იჩენდა:—იმის მიგვა და პროდუქტიულ, ნავთობიან შრეებში შეიჭრება.

დიმიტრი ნაფეტვარიძე და დურსუნ კაკალაძე

— იქნება თუ არა ნავთი?—ვეკითხებით დურსუნს — იგი კედელზე დაკიდებულ ჭაბურღილის საპროექტო გეოლოგიურ ჭრილს ადევნებს თვალს ზევიდან ქვევით — თითქოს იგონებს ყოველ შეტრს, რომელიც ჭაბურღილმა გასჭრა — მერე სადღაც, ორი ათასი მეტრის ფარგლებში აჩერებს მზერას და დარწმუნებით ამბობს.

— რასაკვირველია იქნება!

მერაბ მელითაური.

ცვლა დამთავრდა.

რაუვოლვიამ იხარა ქობულეთში

ნოდარ სვანიძეს მეტად საინტერესო პროფესია აქვს. ეს პროფესია ერთ-ერთი უძველესთაგანია მსოფლიოში და ამავე დროს სრულად ახალი.

მისი წინამორბედები იყვნენ ჩინელი შენ-ნუნგი, რომელიც 2.700 წლის წინათ ცხოვრობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე; პირველ საუკუნეში მცხოვრები ბერძენი დიოსკორიდე; მეორე საუკუნეში მცხოვრები ძველი რომაელი გალენი და მრავალი ადამიანი, რომლებიც მთებსა და ტყეებში, ველებსა და ჭალებში აგროვებდნენ ველურ სამკურნალო მცენარეებსა და ადამიანის სამკურნალო წამლებს ამზადებდნენ.

ნოდარის პროფესია მეტად ახალია, რადგან დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენმა მეცნიერებმა ხელი მიჰყვეს ველური სამკურნალო მცენარეების მოშენებას, მით უმეტეს სუბტროპიკული მცენარეებისა...

თეთრად შეფეთქილი შენობა ძლივს მოჩანს ნაძვებსა და კიპაროსებში.

— თუ ჩვენი მუშაობა გაინტერესებთ, ნოდარ სვანიძე დაგიმარებათ ამ საქმეში, — გვეუბნება სამკურნალო და არომატულ მცენარეთა სამეცნიერო-საკვლევი საკავშირო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალური სადგურის დირექტორი იოსებ ნაკაიძე.

— ეს ფილიალი, — გვიამბო ნოდარმა, — უკვე ოცი წელია, რაც არსებობს. ამ წლებში შევისწავლეთ მრავალი სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარე, რომელთა მოვლა-მოყვანა წარმოებს ქობულეთის საბჭოთა მეურნეობაში.

საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხეში იგზავნება აქ დამზადებული პრეპარატები. ბათუმის, თბილისისა და ოდესის ქარხნებს ეგზავნებათ გადასამუშავებლად უნიკალური მცენარეები — თირკმელების ჩაი, ალოე, სამედიცინო ევკალიპტი და სხვა.

საქართველოში დიდი რაოდენობით წარმოებს ველური მცენარეების მოყვანა-დამუშავება. სათოვლია, თავყვითელა და სხვები აქ, ამ ფილიალში იყრიან თავს. აქ შეისწავლიან არა მარტო საქართველოს მცენარეებს, არამედ მსოფლიოს ყველა კუთხის სუბტროპიკულ და ტროპიკულ ფლორას. აქვე მდებარეობს ჯანმრთელობის დაცვის საკავშირო სამინისტროს ქობულეთის საბჭოთა მეურნეობა. ეს ერთადერთი მეურნეობაა საბჭოთა კავშირში, რომელიც მისდევს სუბტროპიკულ და ტროპიკულ მცენარეების მოვლა-მოყვანას.

სამკურნალო და არომატულ მცენარეთა საკავშირო ინსტიტუტის ექსპედიციამ ინდოეთიდან და ჩინეთიდან ჩამოიტანა 180 სახეობის სამკურნალო მცენარის თესლი და ნერგი. ახლა უნდა მოხდეს მათი აკლიმატიზაცია და დანერგვა. ქობულეთის საბჭოთა მეურნეობაში, სამშობლოს მოწყვეტილი მცენარეები, „გველის რაუვოლვია“ და „ლახნერა“ კარგად შეეგუენ აქაურ ჰავას. ამ მცენარეებისგან მზადდება მსოფლიოში სახელგანთქმული პრეპარატები სისხლის წნევის საწინააღმდეგოდ. უკვე სწარმოებს მისი ვეგეტატური და თესვით გამრავლება.

საცდელი სადგურის მეცნიერთა კოლექტივი ყოველწლიურად აწყობს ხანგრძლივ ექსპედიციებს ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში. ქობულეთის საბჭოთა მეურნეობა დახმარებას უწევს მოსკოვის ექსპერიმენტულ ქარხანას სამკურნალო მცენარეთა ნედლეულის მომარაგების საქმეში. ამ დღეებში მოსკოვში გაგზავნილი იქნა გადასამუშავებლად საქართველოს ფლორიდან ინსტიტუტის მიერ ახლახან შექნილი ეფექტური პრეპარატები.

ნოდარის სამუშაო დღე მზის ამოსვლამდე იწყება. უყვარს, ძალიან უყვარს მცენარეები და თვითეულ მათგანს ბავშვივით ეალერსება. ფაქიზი მოპყრობა უნდა ახლად გადმოსახლებულ მცენარეს, დღედაღამ ზრუნვას მოითხოვს, რომ არ დაიღუპოს. იცის ნოდარმა მცენარეთა ხასიათი და არც ერთ მათგანს უყურადღებოდ არ სტოვებს. ხუმრობა ხომ არაა, ამ[illegible] მცენარე ხალხის მკურნალი უნდა გახდეს.

შემთხვევითი არ იყო ნოდარისათვის ეს პროფესია. ბავშვობიდანვე იტაცებდა მცენარეები, საკუთარ ნაკვეთში ამრავლებდა და ზრდიდა სხვადასხვა სამკურნალო მცენარეებს, დადიოდა მთასა და ბარში, ეძებდა ახალ-ახალ მცენარეებს და ამასობაში დავაყაცდა, საშუალო სკოლა დაამთავრა. დიდხანს არ დაფიქრებულა, სასწავლებლად თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს მიაშურა. სადაც შევიდა მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ქობულეთს დაუბრუნდა და დაიწყო მუშაობა მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგედ. ნოდარი სწავლობს სამკურნალო მცენარეების მავნებლებისა და ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს.

დიდი ხნის მუშაობისა და დაკვირვების შემდეგ ნოდარმა დაწერა საინტერესო შრომა: „ზოგიერთ სუბტროპიკულ სამკურნალო მცენარეთა მავნებლები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა“. ამ წიგნის გამოცემა განზრახულია წელს მოსკოვში.

თამაზ ზათირიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასვენების დროს

მხატვარი ი. ტარტაკოვსკი

ვ. ი. ლენინის გამოსვლა გოელროს გეგმის თაობაზე

მხატვარი ა. შმატკო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი. მოქანდაკე ნ. ქუთათელაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინის მოედანზე. ფოტო თ. არჩეაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუბარი ილიჩთან

მხატვარი ვ. ხიტრიკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ქალიშვილი



ნახ. ელ. ბერძენიშვილისა.

უკანასკნელი გამოცდა ჩავაბარე, დავემშვიდობე მეგობრებს, მჭიდროდ შევახვიე საკმაოდ გაცრეცილი და გაბრტყელებული ქვეშაგები. ჩემოდანში ჩავუშვი ყველაფერი: კბილის ჯაგრისი, გალეული მარწყვის საპონი, სამართებელი, სამელნე და ელამი ჯიბის სარკე, ბოლომოღრღნილი კალმისტრები, პირსახოცი და ნიკელგადაცლილი პაწია მაკრატელი. წიგნები და ლექციების საერთო რვეულები ცალკე შევკარი ქაღალდის თოკით. დავუჯექი პირველ შემხვედრ საბარგო მანქანას, მანქანიდან კიდევ მანქანაზე მოვეწყვე და შეღამებისას ეზოს ჭიშკარი მედიდურად შევაღე. კისერზე შემოხვეულ დედას ყურში ჩავჩურჩულე:

— ხომ ხედავ, დაგიბრუნდი, დედიკო.

თავმჯდომარემ კარგად მიმიღო. მხარზე ხელი კბილა ბიჭივით დამკრა და თითქოს საიდუმლოდ მითხრა:

—მოდი, ჩვენ იცი, რა ვქნათ?

მე არ ვიცოდი რა უნდა გვექნა და თავი გავიქნიე.

— ბრიგადირად გაგიშვებ, ახალგაზრდა კაცი ხარ, ტექნიკოს-აგრონომი. დავასვენოთ ლენტორიე, რავა იტყვი შენ.

მე რა მეთქმოდა...

ლენტორიას ვერც ისე კარგად ჰქონია საქმე. თურმე ხანში შესულა და თავმჯდომარე არ უჯეროდა. ყანის საქმეს კიდევ არა უშავდა, მარგვლა ჩაეტარებინა, მაგრამ ლენტორიე მეორე ბრიგადის ბრიგადირი იყო და ჩაის კრეფაში უკანასკნელი, მეექვსე ადგილი ეჭირა.

საქმეს მთელი გულისყურით მოვკიდე ხელი. ადრიან დილიდან შუა ღამემდე ჩემი ფეხის ჩადება არ იყო. ხან აღმა გავრბოდი, ხან თავქვე ჩამოვრბოდი, აბა, ამ მოსახლისას:

— სარდიონა!

აბა იმ ოჯახში:

— ივლიტე, ივლიტე, არ გამომბრა ყელი!

ამ ოჯახქორ ბესოია კერკეტას, ქალიშვილი რომ მოტაცეს, მერე მოათრია ეს გაცოფებული ნაგაზი?

— გადმოადგი კაცო ფეხი, რავა წელმოწყვეტილივით მობანდალებ!

— ქორწილი შემოდგომაზე გადაიხადე, შე მამაცხონებულო, არ გამიგონია ამ გახურებული მუშაობის დროს ქორწილობიე... ქალი ახლა მოიყვანე, ახლა მოდაში.

—არ გამაგონო, თუ ქალი ხარ, ყველი კი არა, სული რომ მიგქონდეს გასაყიდად, ვერ გაგიშვებ...

მოვათავე ჩამოვლა. ახლა ფართობში მინდა გავიქცე. იქედან პლანტაციაში გავირბენ და მთელი დღე იქ უნდა ვიტრიალო. ხომ იცით, ჩაის ხარისხი, წონა, ჩატვირთვა, ფაბრიკაში გადაგზავნა. ზაფხულია, ჩაი სათუთია და ფარდულში დაყრილს რომ დააგვიანდეს, გადახურდება, გადაიწვება, გამოშრება, მკრეფავებს ცივი წყალი არ უნდა მოაკლდეთ, სადილი თავის დროზე უნდა გამზადდეს. მანქანის საბურავები იშვებს ხიცხეში და მძღოლს ცეცხლი უნდა შეუკიდო.

დავადექი გზას. მოდი დღეს მოკლე გზით ჩავუხვევ, მერე ორღობეში გავძვრები. სოფლის ბოლოს არხში წყალი დაკლებული იქნება, როგორმე გავხტები და ფართობში ამოვყოფ თავს.

მივდივარ, მივდივარ, გადავიარე შარა, გადავუხვიე მოკლე გზით, მივიჩქარი ორღობეში და მიხარია, არ ვიცი, რა, მაგრამ რაღაც კი მიხარია, ალბათ, საქმე რომ მაქვს გასაკეთებელი, ბრიგადირი რომ ვარ, აგრონომ-ტექნიკოსი, ჭკუას რომ მეკითხებიან. არ ვიცი რა, მაგრამ რაღაც კი ძალზე მსიამოვნებს. იქნებ ის, რომ დედას უხარია შვილს მოვეხეარი, იქნებ ის, რომ შრომადღეებს გამოვიმუშავებ და ერთ ახალ კოსტუმს ვიყიდი, სახლს დასავლეთის ნაწვიმარ კედელს გამოვუცვლი და...

ორღობიდან ისევ ორღობეში ვუხვევ.

ჩვენი სოფელი ლამაზი სოფელია. ბევრი ალვის ხეები ხარობს. თებერვალში თეთრად გადაიპენტება ტყემლებით, ყველა მოსახლეს აქვს ვენახი, მწიფე მსხალს გოჭებიც არა ჭამენ, გვაქვს ოდა სართულები და კლუბის აშენებას ვაპირებთ.

გავცდი სოფელს. იწყება დახრამული, უსწორმასწორო ნაგზური. ვალაჯებ, ვხტები, ვუქცევ გვერდს ორწოხებს. აგერ წყარო ყონავს მიწაში. აქ მუდამ ტალახი იქნება ავდარში თუ დარში. გზის კიდეს ვეტანები. აქ ძველი ნამოსახლარებია. გზის პირზე ბროწეულებია. აქეთ ძველად ხალხი სახლობდა. მაშინ სულ ერთი იყო სადაც იცხოვრებდა კაცი, ყველგან უგზოობა იყო. მერე აიყარა მოსახლეობა, შარაგზის პირას გადასახლდა. ასეც ჯობდა, ასეც მოიქცნენ.

ჰოდა, ახლა გზის პირას ბროწეულებია.

ვერიდები ტალახს, ვიწევ აქეთ კიდე-კიდე და „ბუხ", ბროწეული მადგია თავზე მუშტით. იქით კიდევ ტალახია, რა ეშმაკმა გადმომაგდო აქეთ. მერე ისევ უგზოობა და ავი ნაგაზი.

— ბიჭოს?!

ჰო, მართლა, აქეთ ხომ თებრო სახლობს. აი, ძველის ძველი სახლი. უფანჯრო, ყავრით დახურული. საწყალი თებრო, არც მომგონებია აქამდე.

აქეთ წელიწადში ერთხელ თუ გაივლის ვინმე. ძაღლი არაა ნაჩვევი მგზავრს, ბიჭი ხარ და დაუმაგრდი!

საწყალი თებრო, კოლექტივი ეხმარება, ალბათ, თორემ თვითონ რა შეუძლია, ქმარი თებროს არა ჰყავს და შვილი... შვილი... შვილი ხომ ჰყავდა თებროს, კი, როგორ არა, მახსოვს ნათია ერქვა სახელად თუ თათია...

— იქით ძაღლო!

ნათია, ნათია ერქვა ნამდვილად. ორი კლასით უკან სწავლობდა, გამხდარი, გალეული ბავშვი იყო. ავადმყოფობდა, ხშირად აცდენდა, ასე, მგონი მეხუთე, მეექვსე კლასამდი მოაღწია, მერე დიდი თოვლი მოვიდა და...

—ძაღლი არა თუ მამალი მგელი!

მერე აღარ მინახავს. ჰო, ერთხელ ქალაქში შევხვდი. თბილად შეფუთვნილი მიჰყავდა თებროს.

— იქით-მეთქი რას გადამეკიდე, შენ ბანალდასაწვავო!

სკოლაშიც თავისთვის იყო ნათია. მზეზე თბებოდა ყოველთვის. იდგა რომელიმე სამზეურ კედელს აკრული და იქედან უცქერდა ბავშვების თამაშს. არავის ერეოდა, არავინ არაფერს უშავებდა. ერთხელ თავსაფარი გადაეგდო ვილაცას, არ დადევნებია, არც ხმა ამოუღია. იდგა იქვე ამოჩემებულ კედელთან, დაეხარა თავი და ფერმკრთალ სახეზე ღაპაღუპით ჩამოდიოდა ცრემლები. სწავლა უჭირდა და ამისთვისაც ღვრიდა ცრემლებს, დილით აგვიანებდა, ეკითხებოდნენ მიზეზს, ტიროდა. გაკვეთილების შემდეგ ბავშვები ყივილ-ხივილით გარბოდნენ, ხტოდნენ, ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ. ნათია წყნარად მიდიოდა მისთვის, გზის კიდეზე, თავჩაღუნული, მოწყენილი, ფერმკრთალი.

— ეს ძაღლი რა გადარეული რამე ჰყოლია თებროს!

ოტია შალვას ძე იოსელიანი დაიბადა 1930 წელს, 1949 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, რის შემდეგ ცხოვრობს და მუშაობს სოფელ გვიშტიბში (წყალტუბოს რაიონი). თავისი პირველი საბავშვო მოთხრობა «ნიშო» დაბეჭდა 1954 წელს, მოთხრობების პირველი კრებული გამოვიდა 1957 წელს.

მოთხრობისთვის «თეთრი ქალიშვილი», რომელსაც ვბეჭდავთ ქვემოთ, მიეკუთვნა ჟურნალ «დროშის» 1959 წლის პრემია.

ახლა სადაა? ორ კვირაზე მეტია აქ ვტრიალებ, ამ სოფელში, არც ყანა მაკლია არც კანტორა, არც ტყე, არც მინდორი. არ შემხვედრია. წავიდა? სად წავიდა? კარგადაა? გათხოვდა?

— ბათურა აქეთ, ბათურა, ეზოში ჩამოდი, შე სასიკვდილე!

ეზოში შავებიანი, პატარა გალეული ქალი დგას, ჩამონაყარ ხილს აგროვებს და კალათში ყრის. მხრებში წახრილი იყო ყოველთვის თებრო, ახლა თითქოს კუზი დადგომიაო. მოხუცებულა საბრალო ქალი!

— გამარჯობა, დეიდა თებრო!

წელში სწორდება, ხელებს ერთმანეთზე ასავსავებს, იწმენდს თუ უხერხულობას გრძნობს.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო!

თებრომ ისევ კალათისაკენ დააპირა გაბრუნება, ახლა მოვიკითხე.

— როგორ ბრძანდები, დეიდა, ხომ არ მოხუცდი.

იგი ისევ გაიმართა, ახლა აქეთ, მესრეხისაკენ გამოაბიჯა და ისევ ხელების სავსავით მოჰყვა თავის გასაჭირს.

— დავბერდი, შვილო, ნაადრევად დავბერდი, შენი ჭირი შემეყაროს!

ამასობაში მთლიანად ტალახში ამოსვრილი ჭიშკარს გავუსწორდი. რომ სახლის კარებმა გაიჭრიალა, მაგრამ არ გაღებულა. თებრო ჭიშკარს მოადგა და სარებით გაკონილ პატარა კარს დაუწყო გაღება.

— ჩამობრძანდი, ბატონო, კაცი ძვირი სტუმარია ჩვენს ღარიბ ოჯახში.

— აჰ, არა, საქმეზე მეჩქარება!

— რა საქმეზე ხარ, შვილო, — თვალებში შემოხედა, დამაკვირდა, მერე თავი გაიქნია და მორიდებით თქვა: — ვერც კი გიცანი მე სასიკვდილემ.

მე ვინაობა გავაცანი და წასვლა დავაპირე.

—უი, რავა მოსწრებიხარ დედაშენს... ჩამოდი, დედაშვილობამ, კაცი რომ ეზოში ჩამოვა ხე გაიცინებს. ნეტა ჩემი გოგოც ბიჭი ყოფილიყო...

— ჰო, მართლა, ნათია, შენი ქალიშვილი...

— შენ მოგეცა სიკეთე, რავა გხსომებია.

— ხომ კარგადაა, სადაა ახლა?

— სახლში, შვილო, სად უნდა იყოს!

— მერე ასე... რომ არსად მინახავს?

— შენ გაიხარე, შვილო, რომ იკითხე. ჩამოდი, შენი ჭირი შემეყაროს, ჩამოდი. — თებრომ შეკრული ჭიშკარი გახსნა და შემიპატიჟა: — კი არაფერი მაქვს მე უბედურს, მარა ხილი მიირთვი, ცივ წყალს არ დალევ?

მეუხერხულა თებროს გაწბილება და უარი ვერ ვუთხარი.

— კი, დეიდა, კი, წყალი მართლა ღვინოს მირჩევნია!

მე ეზოში შევაბიჯე და... გავშეშდი.

ღრეჭოდ მიღებულ სახლის კარებში დავინახე თავიდან ფეხამდე თეთრი ქალი. იგი იმ წამსვე გაქრა, როგორც კი თვალი შემასწრო.

თებრომ ძველი ტაბურეტი დამიდგა, მერე წყალი მოიტანა დოქით. დოქი სანთლით იყო დაგოზილი. მე ზედიზედ ორი ჭიქა გადავკარი და თვალი არ მომიციელებია სახლის ღრეჯო კარზე. სახლში ბნელოდა და ვერავინ გავარჩიე.

ჩავჯექი იქვე ხის ძირას, წამოვიწიე, ჩავცუცქდი და ზურგით ხის ტანს მივეყრდნე. თებრომ მსხალი მომაჩეჩა ხელში. ვატრიალე ერთ ხანს, ვერაფერი მოვუხერხე. გვიან მომაგონდა, რომ უნდა შემეჭამა. წამოვდექი, ისევ ჩაჯდომა ვამჯობინე.

რაღაც მაწუხებდა, რაღაც მაწვალებდა, ვიღაცის თვალები მიცქერნენ, ვიღაცა არ მაცილებდა თვალს.

—არ გიამა, შვილო, მსხალი? — მომესმა ისევ თებროს ხმა. ეზოს ბოლოში ჭანჭურები გვაქვს, თუ გესიამოვნება მოგიტან

— აჰ, არა, დეიდა, ნუ წუხდები, გემრიელი მსხალია, — და ზედიზედ ჩავკბიჩე.

— აბა ეს ვაშლი ნახე, ძირს ჩამონაყარი კია, მაგრამ... ხეზე ასვლა არ შემიძლია და...

— კი, მაგრამ... — დაუღეჭავი ლუკმა ძლივს გადავიტანე და განვაგრძე, — კი, მაგრამ თქვენი ქალიშვილი?

— ჩემი ნათიე?

— ჰო, ხომ კარგადაა?

— არაა, შვილო, კარგად, აბა ის რომ კარგად მყავდეს რა უჭირს უბედურ დედამისს...

— რატომ, რა დაემართა?

— რა ვიცი, შვილო, სუსტი ბავშვი იყო, ვერ იქნა და ვერ გამომჯობინდა.

— ექიმები?...

— ექიმები... — ხელი ჩაიქნია თებრომ, — ექიმები... რა ვიცი, სისხლი აკლიაო, დაჩრდილვა აქვსო... შენ გეცოდინება რაა დაჩრდილვა.

— დაჩრდილვა... დაჩრდილვა ისეთი არაფერი, იოლად ინკურნება...

— რა ვიცი, საშველი კი არ დაადგა და... ჭამის მადა არა აქვს, ტოლ-ამხანაგებს ჩამორჩა, ერთ ხანს ნახულობდნენ, მიეცათ სიკეთე, აკითხავდნენ, უფრო ხალისიანადაც იყო, მერე მოწყინდათ ამ ტალახში ღოღიალი და ქე დაანებეს თავი. ახლა ექიმმა მიოხრა უკეთესადააო, მაგრამ ღამღამობით ჩუმად ტირის, არ უნდა მე რომ გამაგებინოს, მაგრამ დედის გულს რა დაემალება.

—სადაა, ვნახავდი მაინც... — წამოვიტირე მე.

— ახლა შვილო, ახლა...—გაჩერდა, დაფიქრდა, უხერხულად დაიწყო ხელების ფშვნეტა, მერე მორიდებით გამომიტყდა: — ახლა... არც მილაგებული ვართ და... არც... ჰო, ჯერ ძინავს.

— კარგი, წავალ ახლა... — მე ჭიშკრისაკენ გავტრიალდი—წავალ და... საღამოს გამოვივლი.

წაქცეული ჭიშკარი წამოვაყენე, სარით გავამაგრე და სახლის კარებს გავხედე, გზას გავყევი და ისევ მოვიხედე.

გავცდი ეზოს. ჩავიარე მინდორი, არხში წყალი დაკლებული იყო, მაგრამ ორივე ფეხი დამისველდა. გავედი ფართობში. თავზე წავადექი წითელ ხილაბანდით თავწაკონილ მუშას, ძლივს შევნიშნე. ყანის თავში კულტივატორს წამოვედე. პლანტაციაში ორჯერ მითხრეს მოკრეფილი ჩაის წონა და ვერ დავიმახსოვრე. გავგზავნეთ მანქანა, გავხედე ისევ დილაა, ჯერ დაღამებამდე მთელი წელიწადია. ახლა წყალი მოვიტანეთ კასრებით. მზარეული შეუდგა სადილის თადარიგს. ზოზინებს, არ ჩქარობს.

— გაანძრიე ხელი, გაშუადღდა!

მზეს უჭუტავს თვალს, მერე მე მიცქერის და საქმეს ისევ ზანტად განაგრძობს.

მკრეფავები ცლიან კალათებს, თავსაფრებს ისწორებენ, მიცინიან, მიყვებიან: ამდენი მოკრეფეთო, ჯერ სადა ხარ, სამი ამდენს კიდევ მოკრეფთო, ციალა სიმღერას გვირეკს და გააჩუმეო. მძღოლმა მწონავ ქალს ორჯერ უჩქმიტა და თვალი გეჭიროსო. მძღოლის თანაშემწე მართვის უფლებას ვერ მიიღებს, თვალის პაჭუნი დამართიაო.

ვიღაც მიღიღინებს.

ვიღაც კისკისებს.

მზარეული ისევ არ ჩქარობს.

— აი, ნახავ შენ თუ სადილი არ დაგიგვიანდება! — ვაჩქარებ მე.

იგი ისევ მზეს უჭუტავს თვალს, იმშრალებს ხელს თეთრ წინსაფარზე და საათის ჯიბიდან მსხვილი ძეწკვით მოზრდილა ბორბალს მოათრევს. უყურებს საათს, მერე მე, და საქმეს ისევ ზანტად განაგრძობს.

გავრბივარ პლანტაციებში. ვამოწმებ როგორი გაკრეფილია ბუჩქები, სადაა მოძალებული საკრეფი. ქარსაფარში ევკალიპტისათვის ტოტი ჩამოუხლეჩია ქარს.

ვიღაცა მეძახის:

— ბაჭუა, აქეთ ბაჭუა!

ვიღაც ისე კისკისებს, შეიძლება გული წაუვიდეს.

ქარსაფარს იქეთ მღერიან.

— ბაჭუაა!

საღამოს მანქანისათვის აღარ დამიცდია, ყანა-ყანა გადმოვმართე, კულტივატორს აღარ გადავყრივარ, წითელ ხილაბანდიან გლეხს სვრელი გაეტანა და ახლა ფერდობს შედგომოდა. არხში პირდაპირ შევაბოტე და ნახევრად სირბილით ავყევი აღმართს. ვახტები ხრამულებს, ვალაჯებ ბუჩქებს, ძალიან მეჩქარება, ერთი სული მაქვს სანამ მივიდოდე, ასე მგონია ვიღაც დიდი, დიდი ხანია მიმელოს.

აი ბოლი ამოდის. სახლიც. ძველი ძელის სახლი, უფანჯრო, ყავრით დახურული.

მე ყავრით დახურული სახლი მირჩევნია. ავდრიანში ყავარზე მთელი ღამე შხაპუნებს წვიმა და ყვება ზღვიდან მოტანილ ზღაპარს. მე ყავრით დახურული სახლი მირჩევნია.

ავი ნაგაზი.

ძაღლი არაა ნაჩვევი მგზავრს, ბიჭი ხარ და დაუმაგრდი!

უკვე ბინდია. შევდივარ ორღობეში. სადღაც აქ წყაროები ყონავს, ყოველთვის ტალახია, დარია და ავდარი.

სახლის კარები ღიაა. აივანზე ვიღაცა ზის.

— ნათია!

— იქით ძაღლო!

დამინახა, წამოიწია, ადგა. მიცქერის, მიცქერის, თვალს არ მაშორებს. ჩავუხვიე ჭიშკართან და შევიდა სახლში.

— ბათურა აქეთ, ბათურა შე სასიკვდილე! — თებრო წამოვიდა.

მე აღარ დავუცადე, ჭიშკარი ფრთხილად შევაღე რომ არ წაქცეულიყო. არ წაქცეულა. გამიკვირდა. მივხურე და მივხვდი: ცალი მხარე სინით იყო მიბმული ბოძზე.

— შენ მოგეცა სიკეთე, რავა მართლა მოდი!

— აბა როგორ... — დავიწყე მე და კარს ზურგით მივაწექი.

— რავა იქცევა მაგ დასაწვავი...

— არა, დეიდა, კარგია, მიბმულია...

— მიბმულია? — გაუკვირდა თებროს, მერე წუწუნს მოჰყვა, — არაფერი არ დამიჭერია დღეს, ეზოს ბოლოში ჭანჭურზე გასულიყო კალათით. აგერ, აქამდე აივანზე იჯდა, შალი არ მოიხურა.

— არაფერი არ უჭირს, დეიდა, ახლა სიცივე რომ არაა.

— მოგეცა სიკეთე. სიცივე არაა, მარა საღამოა, რომ გაცივდეს. წამლებით უდგია სული.

თებრო აივანზე მიდებულ ბრტყელ ქვაზე ავლით ამიძღვა.

მე ფეხი პირდაპირ უკიბოდ შევდგი ძველ ფარღალალა იატაკზე, რამაც უსიამოდ დაიჭრიალა. კარის ზღურბლიდან ფეხი სახლში ჩავაბიჯე სოხანეზე. სახლში უკვე ლამპა ენთო. კუთხეში საწოლზე წამომჯდარი ნათია დავინახე. გადავდგი ნაბიჯი, მაგრამ ფეხი გადამიბრუნდა. სოხანე უსწორმასწორი იყო.

ამ დროს საღაციდან მომესმა.

— მობრძანდით!

— აქა მშვიდობა. — მოგვიანებით ვთქვი მე და თვალებით ისევ ნათია მოვძებნე.

ნათიას თეთრი ფერი ჰყვარებია!

— აქეთ წამოდი, შენი ჭირი შემეყაროს, — ჩამესმა თებროს ხმა და საწოლისაკენ გამიძღვა.

ნათია წამოდგა და მისკენ გაწვდილ ორივე ხელში პატარა, გამხდარი ხელი ჩამიდო.

— გამარჯობა ნათია!

— გაგიმარჯოს. — მომესმა ისევ საღაციდან.

— როგორ ხარ, ნათია... — რაღაც კიდევ მინდოდა მეთქვა, რაღაც ხუმრობაც მინდოდა, მაგრამ გამიჭირდა.

— გმადლობთ!

— ნათია, რა ხანია არ მინახავხარ... შვიდწლედი რომ დავამთავრე ტექნიკუმში წავედი, ათასში ერთხელ ჩამოვდიოდი... ახლა სულ დავამთავრე...

— დაბრძანდი, შენი ჭირიმე—სკამი მომიწია თებრომ.

ნათიაც ჩამოჯდა საწოლზე. თებრომ შალი წამოაბურა მხრებზე და უკანა კარით გავიდა. ნათია ზურგს უკან მარცხენა ხელით ეთამაშებოდა რაღაცას.

— ახლა დავამთავრე, — განვაგრძე მე დაწყებული ბოდიში, — ხშირად გინახულებ... მართლა, რა გაწუხებს?...

ნათიამ თვალებში შემომხედა. მე ამოდენა წამწამები არასოდეს არ მენახა. თქმით კი არაფერი თქვა. მე შეეკრთი. ნათიამ რაღაც მითხრა, თითქოს თვალებით, რაღაც დიდი საიდუმლო გამანდო.

— ნათია!

მას არც ახლა გაუცია ხმა. თვალები მომარიდა, თავი ჩაკიდა. ზურგს უკან ისევ დაუწყო თამაში რაღაცას.

სახლში მყუდროება ჩამოვარდა. ნათიას ზურგს უკან კრუტუნებდა განებივრებული კატა. ლამპა სუსტად ანათებდა ძელის სრულ სახლს. მიტკალივით თეთრი ნათია, თეთრ ჩითის კაბაში, რომელსაც ოდესღაც ცისფერი კოპლები ჰქონია, ძველი კედლის შავ ფონზე თოვლის ქალივით ჩანდა.

ისევ კრუტუნებდა განებივრებული კატა ნათიას ზურგს უკან.

რაღაც უნდა მეთქვა.

— ნათია, — დავიწყე ისევ. მინდოდა მეკითხა ახლა ხომ უკეთესადაა წინანდელზე, მაგრამ გადავიფიქრე. — ჰო, მართლა... წამოვდექი, მერე უცებ დავეშვი და განვაგრძე, — დღეს ძალიან დავიღალე.

ნათიამ ისევ შემომხედა.

— ათასი საქმეა ეს ვერანა, ყველაფერს რაფერ გაწვდები ერთი კაცი... უცებ მივხვდი, რომ ტრაბახი დავიწყე, ისევ გამიწყდა ხმა, მაგრამ მუნჯად ჯდომაც არ შემეძლო. რაღაც ხომ უნდა მეთქვა და განვაგრძე:

— ჩაი მოგვეძალა, ნათია. გეგმას ვასრულებთ, მაგრამ არც გეგმის ზევით დაგვწვავს პირს... ჩაი ბევრია. მუშა ხელი არ გვყოფნის. არა, გვყოფნის, როგორ არ გვყოფნის, მაგრამ მეტი რომ იყოს არ გვაწყენს და არ ვიცი საიდან შემიფრინდა ეს აზრი თავში რომ დავუმატე, — შენ კი არაფერს არ გვეხმარები...

მე ენაზე ვიკბინე.

ნათიამ ჯერ გაოცებით შემომხედა და მერე ისეთი მწყობრი კბილები გამოაჩინა, მე თვალები ზედზედ დავახამხამე, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი.

ნათიას სათნო და ნაზმა ღიმილმა ძალა შემმატა, დაღლილობაც დამავიწყდა, ზრდილობაც და ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა ბოლთის ცემას მოვყე.

— არ გვეხმარები, — განვაგრძე მე საყვედურები,—ზარმაცობთ ამხანაგო,—ნათიას ისევ გაეღიმა.

— დიახ, არ გვეხმარებით, რატომ? ვინ იცის რატომ. არ გინდათ დაგვეხმაროთ და იმიტომ. დიახ, არ გინდათ დახმარება. არც მეტი არც ნაკლები.

ნათიას ისევ გაეხსნა ბაგე და ოდნავ ხმამაღლა თქვა:

— სურვილი არა მაქვს.

— სურვილი, სურვილი არა გაქვთ, — განვაგრძე უკვე გახარებულმა,— მუშაობის სურვილი არა გაქვთ თორემ... და მე ისევ ეშმაკმა იცის საიდან, ისევ შემიძვრა ერთი აზრი, — აბა გათხოვება გიხსენონ... აბა, კარგი საქმრო გამოჩნდეს...

ნათიამ თავი ჩაჰკიდა, მაგრამ ეტყობოდა ღიმილი მაინც არ გამქრალა მის სახეზე.

მე ისევ ძველს დავუბრუნდი.

— არ გეკადრებათ, ამხანაგო, არ გეკადრებათ... ჩვენ რა, თქვენზე ნაკლები ვართ?

ამაზე ისევ ასწია თავი ნათიამ. თვალებით შემომცინა. მე ამოდენა წამწამები არასოდეს არ მინახავს.

— არა ვართ ნაკლები,—მერე მის წინ დავდექი, ხელები წელზე დავიდე და ჩემს გარეგნობას ავხედ-დავხედე. თვალი ნათიამაც ამაყოლ-ჩამაყოლა, — როგორც ხედავთ არა ვართ ნაკლები.

შევატყვე ძალიან უნდოდა გადაეკისკისა კიდეც ჩემს ასეთ მატრაბაზობაზე, მაგრამ მან ისევ მხოლოდ გულღიად გაიღიმა და ისე მომაპყრო მისი მეტყველი თვალები, მინდოდა მივვარდნილიყავ, დამეკვლო ხელი, მიმეკრა გულზე, გავვარდნილიყავ აქედან და გავქცეულიყავ. გავქცეულიყავ ვინ იცის საით— მინდორში, ყანებში, ტყეში, ჯანდაბაში, სულ ერთი იყო სადაც, ოღონდ მერბინა და ნათიას ეცინა, ეცინა და ეკისკისა.

ვივახშმეთ. ნავახშმევს ხილიც მოიტანეს. ჩემს დღეში არ მიჭამია იმდენი ჭანჭური.

თებრომ ჭიშკარზე გადმომაცილა და გახარებულმა მეასედ გადამიხადა მადლობა.

— შენ მოგეცა შვილო, დიდი დღე, რავა მართლა მოდი!

— მე ხვალაც მოვალ, დეიდა, ზეგაც, მაზეგაც!

დილით, ყოველთვის უთენია ვდგები, ხან აღმა გავრბივარ, ხან თავქვე ჩამოვრბივარ, აბა ამ მოსახლისას:

— სარდიონა!

აბა ის მოსახლისას:

— ივლიტე, ივლიტე, არ დამკლა შენი ხელით!

ბესოია კერკეტამ, ქალიშვილი რომ მოტაცეს, მერე მოათრია ეს გაცოფებული ნაგაზი!

— გამოიხედე, კაცო გარე!

— რა ამბავია, ამდენი ქორწილი!

ჩვენი სოფელი ლამაზი სოფელია. ყოველ ეზოში შრიალებს ალვის ხე. გაზაფხულზე თეთრი აკაციის ყვავილობა იცის. შაბიამნის ხსნარს ვასხურებთ ვენახებს, მწიფე მსხალს გოუბეიც არა ჭამენ. გვაქვს მწვანეში ჩაფლული ოდები და კლუბის მშენებლობაც დავიწყეთ.

...და მიხარია, არ ვიცი რა, მაგრამ რაღაც კი ძალზე მიხარია... ალბათ, საქმეს რომ ვაკეთებ, ბრიგადირი ვარ, ჭკუას მეკითხებიან და დედას მოვეხწარი. ამ შემოდგომაზე შრომადღეების ფულით ახალ კოსტუმს ვიყიდი და სახლს შევაკეთებ. მერე გადავივლი შარას, გადავუხვევ მოკლე გზით, ვივლი ორღობეებით, გავცდები სოფელს. იწყება დახრამული ნაგზური. ვალაჯებ, ვხტები, წყარო ყონავს მიწაში, აქ მუდამ ტალახია, გზის პირზე ბროწეულებია, ვერიდები ტალახს, ვიწევ აქეთ, კიდე-კიდე და „ბუხ“ ბროწეული მადგია თავზე მუშტით.

ძაღლი არაა ნაჩვევი მგზავრს, ბიჭი ხარ და დაუმაგრდი!

— ნათიაა!

პირველ დღეს არაფერი. პირველ დღეს არც მელოდა.

მეორე დღეს:

— ნათია უუუ!

ოდნავ ღრიჭოდ აღებს კარს და იღიმება.

მესამე დღეს:

— ნათიაა, გამოდი გოგო, გარე. გეყოფა ძილი!

...და გამოდის გარე. იღიმება, იღიმება და იცინის.

— ნათია, გამოდი გოგო ეზოში!

...და ნათია დილით ადრე, ცვრიანში ჩამოდის ეზოში, მოდის ჭიშკრამდე და ღობეს შიგნიდან მაცილებს, მაცილებს და იღიმება.

— ნათიაა!

ნათია ჭიშკართანაა.

— ნათიაა!

ნათია გზაში მელოდება.

— ნათია, წამოდი პლანტაციებში, ნელა ვიაროთ, გზადაგზა დაისვენე. ცოტა, სულ ცოტა იმუშავე, თუ გინდა სულაც ნუ იმუშავებ, ისე გაიარე, წამოდი ნათია, პლანტაციაში!

...და თქვენ წარმოიდგინეთ, მოდის ნათია, კალათიც მზად ჰქონია ნათიას.

— ფრთხილად, ნელა იარე, აქეთ, ამ მხარეზე

არაა ტალახი, არ დაიღალო ნათი... მინდორზე რომ გავალთ დაისვენე, არხთანაც დაისვენე, არხზე მე ხეებს გავაწყობ წყალში ფეხი არ დაგისველდეს, მერეც დაისვენე, კიდევ დაისვენე...

მე ვურჩევ გზას. მე ვსინჯავ სად უფრო მაგარია მიწა, მაგრამ ნათია ზოგჯერ დაიკლებს ნაბიჯს, ზოგჯერ გადააცილებს. ესვრება ფეხი, ტალახმა გადაუარა მსუბუქ ჩუსტებზე.

— ნათია, ეს რა ჰქენი, ნათია ხომ გაგიცივდა ფეხი. ნათია, დაბრუნდი უკან,—ვწუხვარ, ვწუხვარ მე.

ნათია იღიმება.

გავდივართ მინდორზე. მადლობა ღმერთს, დაისვენებს მაინც, ფეხთ გაიხდის, გაიშრობს კიდეც, რა მეჩქარება, ჯანდაბას ყველაფერი!

ის თვალებში მიცქერის და იღიმება.

— დაისვენე, ნათია!

— არა! — თავს აქნევს.

— კალათი დაამხე და ზედ ჩამოჯექი, ბალახზე გაცივდები!

— არა. — უარობს ისევ.

— აბა, რა ვქნათ? — ვწუხვარ მე.

— გავიქცეთ! — მეუბნება ნათია.

— ?!..

ნათია მავლებს ცალ ხელს, მეორეთი კალათი უჭირავს და სანამ რაიმეს თქმას მოვასწრებდე, გავრბივართ.

— ნათია! — ვჩურჩულებ მე.

ნათია იცინის, მეზიდება მე და გავრბივართ. გავრბივართ, როგორც ნიავი, როგორც ქარი.

— ვაიმე, დავეცემით! — ვიძახი უკვე ხმამაღლა.

ნათია ხმამაღლა იცინის, ახტება ხრამებს, დაბალ ბუჩქებს, ისევ მიჰქრის როგორც თეთრი პეპელა და იცინის.

აგერ მაღალ ბუჩქს ავუქციეთ გვერდი, მაგრამ ვერა, მე ავცდი, როგორც იყო, ნათია გამოედო, ჯერ კალათი გააგდებინა ხელიდან, მერე კაბაში გამოედო და „ფხრრრ“!

— ნათია კაბა! — ავღრიალდი შეშინებული.

ნათიას, ალბათ, მეტი კაბა არც ექნება... რაღა ეშველება!

აგერ...

— ნათია, შეჩერდი, არხში გადავცვივდებით, ნათი!

და გადავცვივდით არხში. ცივმა წყალმა სუნთქვა შემიკრა, ენა ჩამივარდა.

ერთიანად გაწუწული ნათია კისკისებს.

— ბაჭუა, ბაჭუაა!... — მეძახის მე და იცინის, იცინის, კვდება სიცილით. ვეზიდები ნაპირისაკენ. მიმყავს ძალის ძალათ, ვაჯენ ფერდობზე, მწვანე ბალახში და ვეხვეწები დაწყნარდეს, დამშვიდდეს, ვემუდარები, ლამის ავტირდე.

— ჰო ბაჭუ, ჰო, ბაჭუ...—და კისკისებს. გულალმა წვება ბალახებში, ყვავილებში, შლის მკლავებს. არ ახსოვს რომ კაბა გადაიხია.

სუნთქავს გამალებით. ლოყაზე ცეცხლი ედება, მე ამოდენა წამწამები ჩემს დღეში არ მინახავს. მიყურებს, მიყურებს და კვდება სიცილით.

ორფეოსის ანდერძი

— „ორფეოსის ანდერძი“ ჩემი უკანასკნელი ფილმია და მე მას ახალგაზრდობას ვუძღვნი, — განაცხადა სამოცდაათი წლის ცნობილმა ფრანგმა პოეტმა ჟან კოკტომ, რომელიც თვითონ არის ფილმის დამდგმელი რეჟისორიც და მთავარი როლის შემსრულებელიც.

ეს უცნაური ფილმი რეალობისა და ზმანებათა საზღვარზეა, იგი ჩაგვახედებს პოეტების სამყაროში.

„როდესაც ჟან კოკტოს უკანასკნელ ფილმს „ორფეოსის ანდერძს“ უყურებ, — წერს გაზეთი „ლუმანიტე“, — შეგიძლიან ჰკითხო შენს თავს: ხომ არ ყოფილა კინო თავის დაბადებიდანვე გაურკვევლობის მსხვერპლი და დიდი შეცდომა ხომ არ იყო ამ თავისებური სათამაშოს მინდობა... კინოხელოვანთათვის! პოეტების, მეცნიერებისა და ფილოსოფოსების ხელში კინოხელოვნება, რა თქმა უნდა, სულ სხვა იქნებოდა დღეს“.

ჟან კოკტო თვითონ ამტკიცებს, და ეს როდია საფუძველს მოკლებული, რომ „კინორეჟისორებს, ჰგონიათ თითქოს ისინი იცნობენ მაყურებელს და სინამდვილეში კი არ გაცილებიან ბავშვის აზროვნებას, რომელსაც სურს რაიმე ამბის მოსმენა, თხოულობს „სიუჟეტს“ და „ქვეტექსტს“. სინამდვილეში — კი არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ **როგორ** არიან ნაჩვენები ნივთები და **როგორ** არის შევსებული ეკრანი. ცხადია იმას, რასაც ყვებიან ეკრანზე დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ფილმების მწარმოებელთა მოთხოვნილებამ, რომელსაც პირველ ადგილზე გამოყავს თხრობა, თანდათან გაუფუჭა მაყურებელს გემოვნება.

ჟან კოკტოს მისწრაფება იყო „ორფეოსის ანდერძის“, გადაღების დროს „სასაცილო ტაბუს მოსპობა“ და კინომაყურებლის აღზრდა ისევე, როგორც იმ მაყურებლისა, რომელიც დადის სამხატვრო გალერეებში. „წინაალმდეგ შემთხვევაში კინემატოგრაფიული ახალგაზრდობა არასოდეს არ იქნება ნამდვილად ახალგაზრდა და მას მოუხდება დამორჩილება კინომწარმოებლის და დარბაზის დირექტორის ინტერესებისადმი“.

დარწმუნებული ვარ, მომავალი ათი წლის განმავლობაში აღარავინ ჩასთვლის სადავოდ იმას, რომ „ორფეოსის ანდერძი“ მსოფლიო კინემატოგრაფიის შედევრია, — წერს იგივე გაზეთი — ისევე, როგორც შარშან რეჟისორ ალენ რენეს ფილმი „ჰიროსიმა, ჩემო საყვარელო“ უხსნიდა ახალგაზრდა კინომოღვაწეებს სრულიად მოულოდნელ პერსპექტივებს. რენე და კოკტო უბრუნებენ კინოკამერას თავის ნამდვილ დანიშნულებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მან იმოძრავოს დროსა და სივრცეში და რეალურს ხდის იმ მეოთხე განზომილებას, რომელსაც ასე დაეძებენ მათემატიკოსები.

დიდრო ნაწერში, რომ მხატვარი უძლურია გაჰყოს დრო: „მხატვრის განკარგულებაში მხოლოდ ერთი წამია; და მას ისევე არ შეუძლიან მოიხვეჭოს ერთდროულად ორი წამი, როგორც ორი მოქმედება“. კინორეჟისორს კი, პირიქით, განუსაზღვრელი საშუალებანი აქვს, რათა ერთსა და იმავე დროს ისეირნოს სიზმარსა და სინამდვილეში და სულ დაივიწყოს საზღვარი, რომელიც მათ ჰყოფს; „ფილმი უსასრულო წყაროა ფიქრისა. ფილმი აღადგენს წარსულის მოქმედებას. ფილმი საშუალებას გვაძლევს მივცეთ რეალობის სახე არარეალურს“ (დიალოგი „ორფეოსის ანდერძიდან“).

ამრიგად ჟან კოკტოს ფილმი არა ჰგავს იმას, რასაც ჩვეულებრივ ვხედავთ ეკრანზე. — ძნელია, შესაძლებელია, ამ სურათმა [illegible] ეფერი გააოცოს, ვიდრე აღაგზნოს იქით, რომ გადაიყვანს მას ზმანებათა სპეციფიკურ სამყაროში.

თავიდანვე ავტორი აფრთხილებს მნახველს, რომ იგი „მისცემს შესაძლებლობას ბევრ ადამიანს ერთად ნახონ ერთი სიზმარი“.

ეს ფილმი, რომელიც ავტორს სურს, რომ მისი კინემატოგრაფიული ანდერძი გახდეს, წარმოადგენს ადამიანის თავის თავში ჩახედვას. პოეტი გადახედავს თავის წარსულს და მისი ფიქრი მის მიერვე შექმნილ პერსონაჟებს მატერიალურობას ანიჭებს. მისივე პერსონაჟები, რომლებიც იუმორს არ არიან მოკლებული, ასამართლებენ მას და გადაუწყვეტენ „სიცოცხლით დასჯას“, რადგან პოეტები საჭირონი არიან.

სეიუტტი წაიყვანს პოეტს გონების ქალღმერთის— მინერვას ეზში, მინერვას დარაჯებად ყავს ცხენკაცები. მაგრამ გონებას არ ესაჭიროება პოეტები, და ამიტომ მინერვა შუბზე ააგებს მგოსანს მისი ამხანაგების პიკასოს, დომენგენის და აზნავურის წინაშე; გიტანები დასტირიან პოეტის სიკვდილს. მაგრამ „სიცოცხლით დასჯილ“ პოეტს არ შეუძლია მართლა მოკვდეს: იგი მხოლოდ ემსგავსება გარდაცვლილს. როგორც ლაზარე, იგი აღსდგება და მიდის სეანსტის საძებნელად, რომელიც გააქრობს მას იმ ზონაში, რომელშიდაც მან თვითონ დასტოვა იგი — იქ, სადაც მკვდრები არ არიან მკვდრები და ცოცხლები — ცოცხლები.

გაზეთ „ლუმანიტეს“ კინომიმომხილველი სამუელ ლაშიზი წერს: მე არაფერი მეთქმის ჟან კოკტოს მითოლოგიასა და მის ფილოსოფიაზე. მე მხოლოდ ფილმზე ვლაპარაკობ, რომელიც ნამდვილად მიმზიდველი და ბრწყინვალეა. როგორც ადრე გადაღებული კოკტოს ფილმი „ორფეოსი“, „ორფეოსის ანდერძიც“ ფილმების იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომლებსაც მრავალჯერ ნახავ, ეს სურათი გიპყრობთ, მაგრამ „ორფეოსის“ საწინააღმდეგოდ, რომლის ფანტასტიური ხასიათი გამომდინარეობს თითქმის დოკუმენტური რეალიზმისაგან, „ორფეოსის ანდერძი“ სრულიად ირრეალურია. ამით კოკტო გვიჩვენებს კინოს მაგიას. ფილმის პირველი ნაწილი მიმდინარეობს თითქმის უდეკორაციოდ, სტუდიის უზარმაზარ „პლატოზე“, რომლის შუაგულში მოთავსებულია თხრობისათვის აუცილებელი აქსესუარები: პროფესორის ლაბორატორია ან „სასამართლოს“ მაგიდა და ორი სკამი.

რათა სამსჯავრომდე მიაღწიონ, პოეტი და მისი მძღოლი ვრცელ იატაკს გადაივლიან, რომლის ბოლოს კარებია და სამი ხის საფეხური, ფეხის ნაბიჯ შორს გაისმის ცარიელ სტუდიაში და ექო იმეორებს მათ სიტყვებს. სიმბოლური ხერხების ასეთი ზომიერება ანიჭებს „პროცესს“ დრამატულ ხასიათს. მაგრამ კოკტოს უბრალო ტრიუკებით სურს დაგვიმტკიცოს, რომ კინო — ილუზიის სამყაროა (პერსონაჟების გამოჩენა და გაქრობა, დაზიანებული ყვავილის აღდგენა უკუღმა გადაღების საშუალებით).

ფილმის მეორე ნაწილის მოქმედება ვითარდება პროვანსის გროტებში, რომლებიც პროჟექტორების საშუალებით და სიღრმის გამოყენებით გარდიქმნებიან დანტეს დეკორაციებად.

ოჰ! როგორ გვინდა, რომ ცოცხალ პოეტთა შორის უდიდესის ეს უკანასკნელი ნაწარმოები სინამდვილეში იყოს „მისტიფიკაცია“, რომ ჟან კოკტომ (რომელმაც თავისი ექვსი ფილმით საპატიო ადგილი დაიკავა მსოფლიოს საუკეთესო რეჟისორებს შორის), შესძლოს ხელახლა მისცეს ფრანგულ კინოს კარგი დოზა ახალი სისხლისა“.

ქართული აბრეშუმის მოწინავე საწარმო

გიორგი ბახვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ქართული აბრეშუმის ქსოვილმა საყოველთაო აღიარება დაიმსახურა თავისი გამძლეობით, საღებავების მყარობით და ლამაზი გაფორმებით.

1959 წელს ნიუ-იორკში საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ მიღწევათა გამოფენაზე ფაბრიკას 20 სახის პროდუქცია იყო ექსპონირებული,

1960 წელს აბრეშუმის ფაბრიკის ნაკეთობათა ექსპონატების კომპლექტები ქართული ნაციონალური ორნამენტებით გამოფენილი იქნება საერთაშორისო ბაზრობაზე იზმირსა და დამასკოში, საერთაშორისო გამოფენაზე ქაბულში, საბჭოთა სამეურნეო გამოფენაზე ჯაკარტასა და ფხენიანში.

ფაბრიკის მხატვრები ცდილობენ რომ ქსოვილის სურათები არ მობეზრდეს მომხმარებელს, რომ ქსოვილის ასორტიმენტი, უწყვეტლად ახლდებოდეს.

ბევრი ახალი სახის ქსოვილის ავტორია დესინატორი ნ. ცერცვაძე.

ლამაზი შიფონის შარფებისა და თავსაფრების შექმნაში მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზია და გამოცდილება ჩააქსოვეს ფაბრიკის მხატვრებმა ვ. ცვარაძემ, ა. ნარიმანიშვილმა, პ. სარალიძემ, ა. გოდერძიშვილმა, კ. პატარაიამ, ნ. სულხანიშვილმა და მათ მხარდამხარ მომუშავე კოლორისტებმა, რომელთაგან თავისი განსაკუთრებული მდიდარი ფანტაზიით, ფაქიზი გემოვნებით და დიდი გამოცდილებით გამოირჩევა ს. მანუკიანი.

ფაბრიკის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს ამჟამად ქსოვილის ხარისხის გაუმჯობესება და მხატვრული გაფორმების გამრავალფეროვნება წარმოადგენს.

ფაბრიკა ყოველდღიურად 20 დასახელების, 400-ზე მეტი ფერადი გაფორმების, 50 ათასამდე მეტრ მზა აბრეშუმის ქსოვილს უშვებს.

ფაბრიკამ აითვისა ისეთი ახალი ქსოვილების წარმოება, როგორიცაა საკოსტუმე ზამში, კრეპ-ტუალი,, სასუფრე ქსოვილი და სხვა.

1960 წელს ფაბრიკა 30 დასახელების ნაკეთობას გამოუშვებს. წლის მანძილზე 15 მილიონამდე მეტრი მზა ქსოვილი იქნება გამოშვებული.

შვიდწლედში ფაბრიკაში მზა ქსოვილის გამოშვება 32 პროცენტით გაიზრდება, მთლიანი პროდუქციისა — 33,6 პროცენტით. ფაბრიკამ კარგად დაიწყო შვიდწლედის მეორე წელი. ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა შვიდწლიანი გეგმა — ექვს წელიწადში შეასრულოს.

შვიდწლიანი გეგმით აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება ფაბრიკაში რამდენიმე მილიონი მეტრით გაიზრდება. 1965 წელს 18 მილიონი მეტრი მზა ქსოვილი იქნება გამოშვებული. გათვალისწინებულია ჩატარდეს მოძველებული დაზგა-დანადგარების მოდერნიზაცია, შრომატევადი ხელით სამუშაოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, წარმოების ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის სისტემატური დანერგვა, შიგარეზერვების მაქსიმალური გამოვლინება, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება, წამყვანი პროფესიის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლება, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა და სხვა.

ფაბრიკა მთლიანად ხელოვნურ აბრეშუმზე იქნება სპეციალიზებული. გამოუშვებს ქსოვილებს, რომელიც მყიდველთა დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს და ნატურალურ აბრეშუმთან შედარებით 30-40 პროცენტით იაფია. ხელოვნური აბრეშუმის წარმოება 3 მილიონი მეტრით გაიზრდება.

აჭამად ათვისების პროცესშია ხელოვნური აბრეშუმის 11 ახალი სახეობის ქსოვილი, — მათ შორის ქსოვილები სინთეზურ ბოჭკოდან, კაპრონიდან, რომლის ნედლეულს რუსთავის კაპროლაქტამის ქარხნიდან მიიღებს.

ახალი სახისა და ფერის ხელოვნური კრეპ-დე-შინი, კრეპ-მაროკენი, ტრიკოტინ-ბუკლე, ჟაკარდის მუარი, ჟაკარდის ქსოვილები სუფრებისა და გადასაფარებლებისათვის, კაპრონის საბლუზე ქსოვილი, ახალი სტრუქტურის ტილო, უჯრედებიანი საპერანგე და საკაბე ქსოვილი, საკოსტუმე ქსოვილი, სასარჩულე ქსოვილი და სხვა. ნატურალურ აბრეშუმიდან მხოლოდ კრეპ-შიფონი დამზადდება.

1960 წელს ფაბრიკაში გაფართოვდება და მწყობრში შევა საცალო ნაკეთობათა ახალი საამქრო, იგი გამოუშვებს ქართული ნაციონალური ორნამენტებით დაჩითულ შიფონის შარფებს, თავსაფრებს, ცხვირსახოცებს, აბაჟურებს, ტელევიზორის, რადიომიმღების, პიანინოს გადასაფარებლებს, სუფრებს და სხვა, რომელთა ნიმუშები გასულ წლებში მსოფლიო გამოფენებსა და ბაზრობებზე იყო ექსპონირებული.

ფაბრიკის წარმატებათა მიღწევაში დიდი წვლილი შეაქვთ რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს — ზეინკლებს — პ. ბეკოშვილს, ა. დაცმანს, მესავარცხლე — ი. ნახუცრიშვილს, ქვეოსტატებს — ა. გოგიაშვილს, ხ. თედიაშვილს, ა. კვასხაძეს, უფრ. ოსტატ დ. მურჯიკნელს, ინჟინრებს თ. მიქელაძეს, ო. მაჩიტაძეს, ქიმიკოსებს ნ. ბერძენიშვილსა და კ. ახობაძეს. ფაბრიკას ბევრი მოწინავე ყავს. მათ შორის ცნობილნი არიან — მქსელავები ლ. ციცქიშვილი, გ. გულარაშვილი,, ნ. ფოლადაშვილი, მქსოველები მ. ბურჯანაძე, გ. რაჭველიშვილი, ც. ქარუმიძე, ლ. მარიცაშვილი, ნ. ზუბიაშვილი, ნ. სულთანიშვილი, ხ. რამიშვილი, ნ. ქურდოვანიძე, ნ. რასჩუპკინა, ნ. ხუბიაშვილი, მ. გვრიტიშვილი და სხვა. ბევრი მათგანი მრავალდაზგოსანია და გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს.

ფაბრიკაში ფართოდ დაუჭირეს მხარი გაგანოვურ მოძრაობას. საქსოვი საამქროს საუკეთესო ბრიგადის ხელმძღვანელი ქვეოსტატი ვახტანგ ბარნაბიშვილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამორჩენილ მეათე ბრიგადაში გადავიდა სამუშაოდ. რამდენიმე თვის თავდადებული მუშაობის შედეგად ბრიგადამ შეამცირა წუნი, გაადიდა პროდუქციის გამოშვება და მალე გადაჭარბებით იწყო დავალების შესრულება. თოთხმეტი ქალიშვილისაგან შემდგარი ბრიგადა კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებისთვის შეჯიბრში ჩაება. თვიდან თვემდე ასრულებდა დავალებას, მუშაობდა უწუნოდ. ამ შესანიშნავ კოლექტივს მიეკუთვნა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება.

კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება მიეკუთვნა, აგრეთვე, საქსოვ საამქროს დავით ალიბეგაშვილისა და რობერტ მამუჩაშვილის ბრიგადებს.

მოწინავე მქსოველმა კომკავშირელმა რუსუდან ნოზაძემ გადაწყვიტა დახმარებოდა თავის საამქროს ჩამორჩენილ ამხანაგებს ლამარა აბულაძეს, ციალა აკოფოვას და თავის დას ნათელა ნოზაძეს. იგი ეხმარებოდა მათ მუშაობის დროს დაზგასთან, თავისუფალ დროს უხსნიდა გაუგებარს, რის შედეგადაც ისინი ჩამორჩენილებიდან მოწინავეებად იქცნენ.

ივანოველ მქსოველის იულია ვეჩეროვას თაოსნობას, რომელმაც შვიდწლედის დასასრულისათვის მოწყობილობის დაგეგმილ მწარმოებლურობას უკვე მიაღწია, გამოეხმაურა ფაბრიკის მქსოველი ე. სოლომონია. ის ოთხ დაზგაზე მუშაობს და ი. ვეჩეროვას მსგავსად უკვე მიაღწია და გადააჭარბა 1965 წლის მწარმოებლურობას. შვიდწლიან გეგმას ე. სოლომონია 5 წელსა და ორ თვეში შეასრულებს.

ფაბრიკის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ქუთაისსა და ერევნის აბრეშუმის კომბინატებთან, აგრეთვე, ბალტიისპირეთის ქვეყნების — ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ფეიქრებთან. ფაბრიკის კოლექტივმა ახალი ენერგიით გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის ვადამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის.



დიდი ეზო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ქემერგელიძე

● ● ●

ვაკეზე ფართო ეზოა. ეზოს გვერდით ლურჯი ტბაა. ტბაში ტირიფები დგანან. შიდა ეზოში კი ვაშლების ბაღია შემოღობილი. ფართო ეზოში რამდენიმე თეთრი სახლია. სახლები ახალია, ზოგი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი; აქვეა გამგეობისა და კულტურის სახლი, მაღაზია, ფურნე, საწყობი, სადალაქო, სახარაზო და სადურგლო... ეზო დიდია და ფართო; აქვე თორმეტი ტრაქტორი და რამდენიმე მანქანაც დგას. გვერდით ფეხბურთისა და ფრენბურთის ახალი მოედნებია; ბადეები თითქოს ქარს დაუბერავს.

იგი პატარა საყურორტო ქალაქს ჰგავს ტბისა და ტირიფების პირას.

..1957 წლის მარტში საჩხერის რაიონის სოფელ მერჯევის კოლმეურნეობის ბაზაზე მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. ამავე წლის დეკემბერში კი საბჭოთა მეურნეობა საჩხერის ღვინის ქარხანას შეუერთდა.

თავისი არსებობის ორი წლის მანძილზე მეურნეობამ 122 ჰ. ვენახი გააშენა. საერთოდ ამ რაიონში ვაზები შედარებით ახლოა ერთმანეთთან. ამიტომ მამაპაპურ ზვრებში თანამედროვე ტექნიკური პირობების დანერგვა თითქმის მოუხერხებელია. ახლად გაშენებული ზვრები აგროტექნიკის შესაბამისად ეწყობა.

გასულ წელს პირველად ჩაება შრომის ფერხულში მეურნეობა და სამშობლოს 90 ტონის ნაცვლად 161 ტონა ყურძენი მისცა.

მოწინავე მევენახეებს: ანდრო და ვალერიან ფალავანდიშვილებს, შაქრო წერეთელს, კოწია კაპანაძეს, საკუთრივ აქვთ ვენახის ნაკვეთები გაპიროვნებული. თვითეულმა მათგანმა უხვი მოსავლისათვის პრემიები დაიმსახურა.

მარტო რაიონი როდი უდგას მხარში მეურნეობას, მას ჩვენი მეცნიერებაც ეხმარება. მევენახეობის განვითარების საკითხებზე მოწვეულ თეორიულ კონფერენციაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბ. იაკობაშვილი და „სამტრესტის“ სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. კვირიკაშვილი მონაწილეობდნენ.

ამ მეურნეობის ძროხები მთელს რაიონშია განთქმული. 7 თვეში შეასრულა მეურნეობამ წველადობის წლიური გეგმა.

1680 კგ. რძე სულ ძროხაზე!...

თავლები სუფთა და მექანიზებულია. მოწინავე ნაწველავები ავთანდილ ღუღუნიშვილი, ვასო კირვალიძე და სხვები გეგმას ორმაგად ასრულებენ.

მეურნეობის ბაღი კი, თავისი რაიონის გარდა, ჭიათურის მუშა-მოსამსახურეებსაც სწვდება, წელს 500 ტ. ბოსტნეული მიიღეს ამ ბაღიდან ჭიათურელებმა.

გარდა ამისა მეურნეობის კუთვნილებაში 300 ფრთა იხვი, 16 სული დედაღორი და 200-მდე ოჯახი ფუტკარია. მშრომელებს საკუთარი სამკურნალო აბანოც კი აქვთ, სადაც საქართველოს შორეული კუთხეებიდან ჩამოდიან სამკურნალოდ.

● ● ●

დიდი სოფელია მერჯევი: კაცმა რომ თქვას, არც შალიკო ბიძიაა პატარა კაცი. გრძელი, გადაგრეხილი ულვაშები აქვს; ყოველთვის გალიფე აცვია და ჩექმები. რიხიანი სიარული უყვარს, გამართული.

იქნებ არც იცნობთ შალიკო ბიძიას?

შალიკო შამანაძე მეურნეობის ვენახების მცველია, „პოსტზე დგას“, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე.

აი იგი ორივე ხელით ირგებს თავზე ფარფალა ქუდს, მხრის აქნევით თოფს ისწორებს და ჩემსკენ მოდის. შორიდანვე მცნობს, მიღიმის და თავაზიანად მართმევს ხელს: მერე ვენახ-ვენახ მიმაცილებს, მელაპარაკება სოფელზე, თავის თავზე, ბოლოს ბოდიშს იხდის: „მთავრობის კაცი ვარ, პოსტზე უდგავარო“ და მარტო მიშვებს.

ცოტა ხნის მერე ისევ მხვდება შალიკო ბიძია, ჩემთვის გაუსწრია და ახლა ვენახის ბოლოს დგას.

შალიკო ბიძია პირდაპირი კაცია; ვენახებში ყურძენი რომ შემწიფდება, ყველა მოსახლეს რამდენჯერმე ჩამოუვლის და გააფრთხილებს; თანაც თითო ჭიქა ღვინოს ყველგან დალევს: „ასეა, ბიძია, აგაშენათ ღმერთმა, ქათმები დაამწყვდიეთ, თორემ ფრთასაც არ გარგებთ!“

ბიჭი ხარ და ნუ შეასრულებ ნათქვამს! კარგად იცის შალიკო ბიძიამ, რომელ ნაკვეთში ვისი ქათამი დადის.

ამას წინათ ქვემოურების ქათამი შემოაკვდა თურმე. მერე პატრონი დაპატიჟა საყდრის ეზოში, ისე რომ მას არაფერი არ გაუგია თავისი ქათმის თაობაზე. ერთი ჩაფი ღვინო იყიდა და ქვემოური სულ „აგაშენა ღმერთოთი“ გაუშვა შინ. მეორე დღეს კი თვითონ ჩამოუარა თურმე, გარეთ გამოიხმო და უთხრა: „შენი ქათამი კაი იყო და დამიჯდა ერთი ჩაფი; შე კაი დედამიშვილო, ახლა სხვები მაინც დაამწყვდიე, თორემ რამდენი ქათამი შენ გეყოლება, ბიძია, იმდენი ჩაფი ღვინო მე დამაქცევს და ეგ არიო!“

სოფელში ყველას უყვარს ეს პირდაპირი კაცი.

ხუთი შვილი ყავს შალიკო ბიძიას, ოთხი ცოლშვილიანი და ერთიც გათხოვილი. ნოდარი მისი მესამე ბიჭია. შალიკო ბიძია წელიწადში ერთხელ შვილებთან ჩამოივლის სათითაოდ, ყველას დალოცავს, მაგრამ დიდხანს არსად არ დარჩება; ისევ თავის სოფელს მიაშურებს.

სოფელში პარტიის წევრობის ყველაზე მეტი სტაჟი შალიკოს აქვს.

ჰოდა, აი, დღეში რამდენჯერმე აივლის და ჩაივლის ვენახებში ეს ვეება კაცი. მერედა, რამხელა სოფელია მერჯევი, მაგრამ არც შალიკო ბიძიაა პატარა კაცი, გრძელი, გადაგრეხილი ულვაშები აქვს, რიხიანი სიარული უყვარს, მუდამ გალიფე აცვია და ჩექმები...



სტალინის სახელობის თბილისის I სკოლის მეორე კლასის მასწავლებელი ნინო ალავერდაშვილი ხშირად უტარებს გაკვეთილს თავის აღსაზრდელებს ბუნების წიაღში.

ეს ფოტო მარტის პირველ მზიან დღეებშია გადაღებული. ნინო ალავერდაშვილი თავის პატარებთან ერთად ზოოპარკს სწვევია. აქ გაკვეთილის მოსმენა უფრო სახალისო და დასამახსოვრებელია.

ჩვენს რესპუბლიკაში



ახალი ტიპის კოლოსალი

თვალწარმტაცია ბიჭვინთის კონცხი. 40-50 მეტრის სიმაღლის ვეებერთელა ფიჭვები, უხვი სუბტროპიკული მცენარეულობა. ზღვაში ღრმად შეჭრილ პლაჟთან ზღვა მუდამ წყნარია.

საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში შენდება ქალაქი-კურორტი, სადაც ერთდროულად დაისვენებს ათი ათასზე მეტი კაცი.

ამჟამად აქ გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს რესპუბლიკაში პირველი მსხვილპანელიანი საკასეტო სახლთმშენებლობის ქარხნის აგება, რომლის წლიური საწარმოო სიმძლავრე 35 ათასი კვადრატული მეტრი იქნება.

სოხუმ-გაგრის ავტოსტრადის მარცხენა მხრის პლატოზე იზრდება „ბიჭვინთამშენის“ მუშათა დაბა. აქ უკვე დგას რამდენიმე კოტეჯი, მიმდინარეობს 36 ბინიანი სახლების მშენებლობა, ისახება მომავალი დასახლებული პუნქტის კვარტალები.

1961 წელს — შვიდწლედის მესამე წელს ახალი კურორტი უკვე მიიღებს პირველ დამსვენებლებს.

ტექსტი და ფოტო
ნ. ჯოიდავასი.

13 წუთში ერთი კუბიკი

1-2312

თბილისის საავეჯო კომბინატში მთელი სიმძლავრით ამუშავდა ამწყობი კონვეიერი. კონვეიერული სისტემით შესაძლებელი გახდა 13 წუთში 1 კარადის დამზადება.

ამუშავებულია ხის დეტალებზე ლაკის გადასხმის ახალი მეთოდი. აქამდე ხის მოპრიალებას ახდენდნენ პულვერიზაციით, რაც დიდ დროს და ლაკის გადანახარჯს მოითხოვდა, ამჟამად პირველად ჩვენს რესპუბლიკაში კონსტრუირებულია დაზგა, რომელიც აწარმოებს ლაკის ნორმალურ დაფარებას ხეზე.

ლაკის გადასხმის ახალმა მეთოდმა დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. ნახევარ საათში ახალი დაზგა ატარებს 200 ცალ კარადის გვერდს, რომელსაც ჩვეულებრივი წესით ორი დღის მუშაობა ესაჭიროებოდა. ახალი ღონისძიება კომბინატს მისცემს მარტო 2,5 მილიონ მანეთის მასალის ეკონომიას.



თბილისის საავეჯო კომბინატი. ოსტატი ს. გულასოვი ლაქის დამასველ ახალ დანადგართან.

ზღვისპირეთის მშვენება

მშვენიერი გასართობი ადგილი აქვთ ბათუმელ ბავშვებს. ქალაქის ცენტრში მათ განკარგულებაშია კულტურისა და დასვენების საუცხოო ბაღი. ასწლოვანი ჭადრებით, მარადმწვანე მცენარეებით, ნაირფერი ყვავილებით მოჭარგულია პიონერთა სამფლობელო მზიური აჭარის დედაქალაქში.

უველაზე საინტერესო ამ ბაღში მაინც პიონერთა „ზღვაა“, რომლის წინ ასიოდე მეტრის დაშორებით ღელავს ნამდვილი ზღვა. პატარა „ზღვაში“ რეიდზე დგას ბავშვთა საკუთარი ფლოტი. პიონერები რიგრიგობით ეწევიან კაპიტნობას, რიგით მეზღვაურობას გლისერზე, კატარღებზე...

ამ ბაღში ყოველთვის მხიარულობაა. უცხოელი ტურისტებიც სიამოვნებით ათვალიერებენ პიონერთა „ზღვას“ და თვითონაც გამოთქვამენ სურვილს გაისეირნონ გემ „პიონერზე“.

მოძმე რესპუბლიკების ბავშვებიც ხშირად ჩამოდიან სტუმრად ბათუმში. მაშინ უნდა ნახოთ აქაური პიონერთა აღტაცება: ალერსით ხვდებიან, კეთილი გულით უმასპინძლდებიან ბავშვები თავიანთ ტოლებს შავი ზღვის პირის ლამაზ ქალაქში.

უ. ზარეკიძე.

ფოტო და ტექსტი
დ. ხარდანაშვილისა

კულტურისა და დასვენების ბაღი („პიონერთა ზღვა“).

ქართული გიშერი

ქუთაისთან ახლოს საკაჟიას გამოქვაბულში პალეოლითური ადამიანის ნადგომში აღმოჩნდა დაუმუშავებელი გიშრის ნატეხი. გიშერი გამოუყენებია ნეოლითურ ადამიანსაც. ნეოლითში — კისტრიკის (გუდაუთთან ახლოს) მცხოვრებლებს სხვა ქვებთან ერთად გიშერი უხმარიათ. მცხეთის ერთ-ერთ ყორღანულ სამარხში, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულით თარიღდება, აღმოჩენილ იქნა გიშრის მძივები. მათი მსგავსი მძივები ამ ბოლო ხანებში ნაპოვნი იქნა ქვასათალშიც (სამხრეთ ოსეთი) ბრინჯაოს ხანის კოლექტიურ სამარხში, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვით XV-XIII საუკუნით თარიღდება. ადრინდელი რკინის ეპოქის (ძვ. წელთაღრიცხვით VII-VI საუკუნეები) საფლავში — (დვანის ნეკროპოლი — ქარელის რაიონი) გიშრის მრგვალი ფორმის მძივები იქნა ნაპოვნი. გიშრის სამკაულები გვხვდება ახალგორის განძშიც (VII-V სს ჩვენს ერამდე). გიშრის მძივები და სხვა სამკაულები მრავლად არის ნაპოვნი ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებში, განსაკუთრებით მცხეთაში, კლდეეთში, ურეკში და სხვ. მცხეთის ერთ-ერთ სამაროვანში ნაპოვნი გიშრის ფიგურული მძივი ცხენის სქემატურ გამოსახულებას წარმოადგენს და მოგვითითებს იმდროინდელი სახვითი ხელოვნების მაღალ დონეზე. კარგად გათლილი გიშრის მძივებია ნაპოვნი კლდეეთში (ზესტაფონის რაიონი), II საუკუნე ჩვენი წელთაღრიცხვით. კლდეეთში ნაპოვნი გიშრის შესახებ „სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი ადგილობრივი მასალისაგან და ადგილობრივი (სახელდობრ. ძველი ოკრიბის თუ არგვეთის) ხელოსნების მიერ იქნებოდა დამზადებული“, — წერს არქეოლოგი გ. ლომთათიძე.

ქართველი ხალხის ყოფაში გიშერი უძველესი დროიდან არის დამკვიდრებული. ქართულ ფოლკლორში ხშირადაა ლაპარაკი „გიშრის ტარიან დანაზე“. „გიშრისფერ წამწამებზე“ და სხვა.

ქართველი პოეტები გიშერს ადარებენ ყველაფერს მშვენიერსა და საუცხოოს. შოთა რუსთაველისათვის გიშერი საყვარელ ქვას წარმოადგენს; მას თავის უკვდავ პოემაში გიშერი 21-ჯერ აქვს ნახსენები: „თმა-გიშერი“, „გიშრის ტბა“, „გიშრის ტალა“ და სხვ. ან კიდევ: „დადუმდეს, ცრემლნი მოჰკვეთნა შავმან გიშრისა დანამან“. „ვისრამიანში“ ვკითხულობთ: „გიშრის ფერითა თუალითა გული წაუღე მხედავთა და მოაბადს ჰამოითა კოცნითა გული გაუმხიარულე“.

თეიმურაზ პირველის პოეტურ შემოქმედებაში შედარებებისათვის ხშირად ვხვდებით ძვირფას ქვებს, მაგრამ ყველაზე მეტად გიშერს (12-ჯერ).

აკად. ე. ა. ფერსმანი წერს, რომ საშუალო საუკუნეების რუსეთში „იშვიათად ამიერ-კავკასიიდან შემოიჭრებოდა ობსიდიანი გიშერი (ჰაკატი), მარმარილოს ფრცხილი (მარმარილოს ონიქსი) და აღმოსავლეთის ქვაფირუზი, სწორედ იმ საყვარელ ქვათა მასალა, რომელიც ცნობილია ქართული ეპოსის პოემებში (XII ს.)“.

საქართველოში გიშრის საბადო მრავალ ადგილას არის ცნობილი, მაგრამ მათგან უფრო მნიშვნელოვანია ძიროვანის, გელათის, კურსებისა და ტყიბულის საბადოები, ცნობილია აგრეთვე ცუცხვათში, მეტეხში, დუშეთისა და თიანეთის რაიონებში, აფხაზეთში. ამ საბადოებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტყიბულის რაიონის სოფ. ძიროვანის ე. წ. „სატეხრ“-ში გვხვდება კარგად გაკრიალების უნარის მქონე, ნაკლებად დაბზარული გიშერი. 1932 წელს საბადოს გაწმენდის დროს აქ ნაპოვნი იქნა ძველი მთხრებლები. ყოველივე ეს იმაზე მიგვითითებს რომ აქ გიშრის მოპოვება და მისგან სამკაულების დამზადება შორეულ დროიდან წარმოებდა. ქუთაისისა და ტყიბულის რაიონებში გიშრის ადგილობრივ მომპოვებლებს და დამმუშავებლებს შეუქმნიათ გიშრის დამუშავებასთან დაკავშირებული მთელი რიგი ტექნიკური ტერმინები: გიშრის „გაეანგვა“ — გაწმენდა; „დახაშხაშება“ —დანაწილება, „მოლესვა“ — გაკრიალება, „დაფერვა“ — გაწმენდა, — „შემკობა“ და სხვ.

ქუთაისის მიდამოებში რომ ფართოდ მისდევდნენ გიშრის მოპოვებას და დამუშავებას, ამის შესახებ ცნობას გვაძლევს ცნობილი ქართველი პუბლიცისტი სერგეი მესხი. გაზეთ „დროებაში“ წერდა: „ამ საუკუნის დამდეგიდან (1814) უფრო გავრცელებულა გიშრის წარმოება, მაგრამ 1839 წლამდე გიშრის ნივთების გაპრიალება, გლანცის მიცემა არ სცოდნიათ და ამიტომ იმისაგან გაკეთებული ნივთები არ იყვნენ ისე შნოიანები და არც იყიდებოდა. 1839 წ. უფ. ივ. ნიკოლაძეს მოუნახავს გიშრის გაპრიალების საშუალება (ჭიქის ნამტვრევებით) და მას შემდეგ გიშერს უფრო მომეტებული პატივი დაედვა და ხალხში გავრცელდა იმისაგან გაკეთებული ნივთების ხმარება. 1841 წელს ამავე ნიკოლაძეს გაუმართავს ქუთაისში გიშრის განსაკუთრებული მაღაზია, რომელიც ამჟამადაც არსებობს და რომელშიც გიშრის ყოველგვარ ნივთს იპოვნით... უფ. ი. ნიკოლაძეს რამდენჯერმე გაუგზავნია გამოფენაზე იმერეთში ნაკეთი გიშრის ნივთები და ძალიან მოსწონებიათ... ნიკოლაძის მაღაზიისათვის, როგორც თითონ გვიამბო, 15 კაცი მუშაობს გიშერზე, ამის გარდა ოკრიბაში 200 კაცი და ქალი ადგია თურმე გიშრის კეთებას და კარგი შემოსავალიც აქვთ“.

ნ. რეხვიაშვილის ცნობით XIX საუკუნეში საქართველოდან გიშერი გაჰქონდათ საფრანგეთში, ინგლისში, თურქეთში და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს თითქმის ყველა მხარეში სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიურ ძეგლებში გიშრის მრავალნაირი სამკაულების პოვნა, ქუთაისისა და ტყიბულის რაიონებში გიშრის საბადოებთან ძველი სამთო გამონამუშევრების არსებობა, ქართველი ხალხის ყოფაში გიშრის ცნების მტკიცედ დამკვიდრება — გიშრის სამკაულების ფართო მოხმარება, იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს მოსახლეობა უხსოვარი დროიდან აწარმოებდა გიშრის მოპოვებას და მის დამუშავებას. გიშრის მზა პროდუქციის ნაწილი ადგილზე რჩებოდა, ნაწილი კიდევ იგზავნებოდა მეზობელ ქვეყნებში.

საქართველოში ამჟამად ცნობილი გიშრის საბადოები გიშრის მხოლოდ კუსტარულ წარმოებას აკმაყოფილებს; მაგრამ გიშრის ახალი საბადოების ძებნა-ძიებით, განსაკუთრებით იურული ასაკის ნახშირიანი წყების გავრცელების ფარგლებში, შეიძლება ახალი პერსპექტივები შეიქმნას საქართველოში გიშრის მრეწველობის განვითარებისათვის.

ვალერიან ზუხბაია.

ვარდის ზეთი

ერთი კილოგრამი ვარდის ზეთის მისაღებად საჭიროა სამი მილიონი ვარდის ყვავილი ან კიდევ 3-4 ტონა ვარდის ფურცელი. ერთ ჰექტარზე მოწეული ვარდის ფურცლის მარაგისაგან გამოხდილი ზეთი ერთ ბორჯომის ბოთლში მოთავსდება, სამაგიეროდ საკმარისია მისი ერთი წვეთი, რომ მივიღოთ ერთი ლიტრი მაღალხარისხოვანი სუნამო.

მატყლი რძისაგან

ასი ლიტრი მოხდილი რძისაგან შეიძლება მიღებული იქნას 3 კილოგრამი ხელოვნური მატყლი, ან 12 მეტრი მატყლის ქსოვილი.

ადამიანის ცრემლეგის ძალა

ადამიანის ცრემლებში არის ისეთი ნივთიერება, — ლოზოციმი, რომელსაც ბაქტერიების განადგურების უნარი აქვს. ეს ნივთიერება იოდზე 100-ჯერ ხოლო სულემაზე 1000-ჯერ უფრო ძლიერად მოქმედებს.

სარეკორდო ზრდა

ცნობილია, რომ მოწიფული ადამიანი წონით დაახლოებით 20-ჯერ აღემატება ახალშობილს, ოკეანეში ცხოვრობს მთვარე-თევზა, რომელიც დაბადების დღიდან სიკვდილამდე წონაში 60 მილიონჯერ მატულობს.

ყველაზე დიდი წერილი

ეგვიპტის ერთი სულთანი ამაყობდა იმით, რომ მან მიიღო უდიდესი წერილი ყველა ცნობილ ისტორიულ წერილთა შორის. ეს იყო სახელგანთქმული დამპყრობის თემურლენგის ეპისტოლე. ამ წერილს სიგანე 2, ხოლო სიგრძე 30 მეტრი ჰქონდა. წერილის ბოლოს ხელმოწერის ნაცვლად დასმული იყო წითელ საღებავში დასველებული თემურის ხელის ანაბეჭდი. თემურლენგის მიერ სულთანისადმი გაგზავნილი ასეთი გრძელი წერილი დიდი პატივისცემის ნიშანი იყო.

მიუხედავად ასეთი სიგრძე-სიგანისა, ეს წერილი არ ითვლება მსოფლიოში ყველაზე დიდ წერილად. ყველაზე დიდად აღიარებულია ის წერილი, რომელიც მე-16 საუკუნეში ირანის შაჰმა გაუგზავნა თურქეთის სულთანს სულეიმან დიდს (1520-1560). წერილი დაწერილი იყო ამისათვის სპეციალურად დამზადებულ ცხოველის ტყავზე, რომელსაც 9 მეტრი სიგრძე და 7 მეტრი სიგანე ჰქონდა.

* * *

როდესაც საფოსტო მტრედები სახლში ბრუნდებიან, ისინი სამგზავროდ ირჩევენ არა პირდაპირ ხაზს, არამედ უადვილეს ტრასას: გვერდს უვლიან ზღვის ღელვას, ღრუბლიანობას; აკვეთებენ წრეებს, მარყუჟებს და მაინც იგნებენ სახლისაკენ გზებს, მხოლოდ არის ერთი დაბრკოლება—რადიოტალღები, რაც ვერ გადაულახავთ მტრედებს. თუ მოუხდათ ფრენა გადამცემ სადგურების რაიონებში, მტრედები უკვე ვეღარ იგნებენ გზას და დაბლა ეშვებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ანატომიები

მუხრან მაჭავარიანი

„...ვარ....“

(ლექსიდან „ვარ“)

წუხელ,
შუაღამისას,
იქნებოდა საათის პირველი,
ან
დიდი-დიდი — ორის ნახევარი,

მე აღმოვიარე ვარაზისხევი.
მთვარე იყო მაღლა,
ქვაფენილი — დაბლა,
მათ შორის ძლივს გავეტიე მე.
ვარ —
მთა,
ცა,
მუხა,
ჭაჭა,
ადამიანი,
და, მით უმეტეს —
მუხრან
მაჭა —
ვარიანი.
გავიფიქრე რა ეს,
ჰაერთან ერთად
ფილტვებში ჩამყვა ღამე.
და გათენდა,
და გამახსენდა, რომ
წუხელ,
შუაღამისას,
იქნებოდა საათის პირველი,
ან
დიდი-დიდი — ორის ნახევარი,
მე აღმოვიარე ვარაზისხევი.
ამ ქუჩაზე ჩემი ლექსი უსათუოდ შემოეტევა.

ანა კალანდაძე

„....მოფრინავენ ცი-ცი-ცინათელები“.

ირწევიან ლი-ლი-ლილილები,
მზე წაწვა, მურაბობის დარია.
და მამლების ბი-ბი-ბიბილოები
ველ-მინდვრებზე ეაყაჩოთა ჯარია.

ნაზი კილასონია

„განა სიყვარული მინდოდა?
სხვა რაღაც, უფრო წმინდა“.

ვესტუმრე აგარას, მინდორთან
ნიავი ეემომხვდა თბილი,
აქ განა შაქარი მინდოდა?
სხვა რაღაც, უფრო ტკბილი.
მწარეა ქართული ტყემალი,
ო, მაგრამ ათასჯერ მწარეა,
თუ სატრფო გეცვლება მალ-მალე
და შენი მიზანიც მცდარია.
მზე სოველ ჯეჯილებს შეღებავს
და ქვეყნის ბოლომდე ივლის ის,
თითებზე გადვითვლი ცხელ დღეებს:
მაისის, ივნისის, ივლისის...
ვესტუმრე აგარას, მინდორთან
ზამთარი გამეგო ფეხთით,
მე განა თოვლი მინდოდა?
სხვა რაღაც, უფრო თეთრი...

მორის ფოცხიშვილი

„ენკი-ბენკი, სიკლისა...“

არჩევანი — მე,
არადანი — შენ,
შენი ჭირიმე,
ჩემი ჭირი — შენ.
ენკი-ბენკი, სიკლისა,
ენკი-ბენკი, ბა,
ბებია პენსიაში
გა-ვი-და.



გიორგი ხუხაშვილი

„სულერთია, რითი გადმოსცემ ცხოვრების მღელვარებას, დაფდაფით თუ ვიოლინოთი...“

ჩვენს წინაშეა ახალგაზრდა პოეტების ლექსები. პოეტურ ხელოვნებაში ყოველთვის არის მსგავსების განწყობისეული მომენტები, აქ, სწორედ აქ, ნიჭიერების ძალა და განსხვავების კოეფიციენტი ემთხვევა ერთმანეთს. და თუ ჩვენი პოეტი გარკვეული არ არის დროის კატეგორიაში, („იქნებოდა საათის პირველი, ან (ხაზი ჩვენია) დიდი-დიდი—ორის ნახევარი“) სამაგიეროდ მან იცის რას აკეთებს („ალმოვიარე ვარაზისხევი...“).

სულერთია, რითი გადმოსცემ ცხოვრების მღელვარებას, დაფდაფით თუ ვიოლინოთი, ფანდურით თუ ბალალაიკით, ბარაბანით თუ გიტარით, რადიომიმღებით თუ ტელევიზორით, აქ არის დიდი სიმღერის წყურვილი, როგორც აქვს ჩრდილოეთ პოლუსის დამპყრობს სამხრეთ პოლუსის დაპყრობის სურვილი, კრიტიკული წერილების დამწერს, სტატიების კრებულის გამოცემის შანსი.

და პირდაპირ უნდა ითქვას, ჩვენი ახალგაზრდა პოეტები ხშირად ამყღავნებენ ნოვატორულ ტენდენციებს, რენტგენისებური ჭვრეტის უნარს და ცხოვრების დიფუზიურ აღქმას. მათი ფერწერული მონასმი ახალი ტრამპლინიდან კამარის შეკვრაა პოეზიის ცაზე, მათი მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური წინააღმდეგობანი ძლივს ეტევიან მთვარისა და ქვაფენილს შორის არსებულ მანძილზე, მე ვიტყოდი, კოსმიურ მანძილზე. და როცა „ირწევიან ლი-ლი-ლილილოები“, და როცა „მზე სოველ ჯეჯილებს შეღებავს“, ამ ბუნების ფშვინვის ფონზე წამოიჭრება მარადიული საკითხი ამქვეყნიური ცხოვრების არსისა—„არჩევანი—მე, არადანი—შენ“. ეს არის იგივე „ყოფნა, არყოფნის“, სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი (სიკვდილი, კარგი გაგებით).

ზოგჯერ გულგრილობას საკუთარი ფორმის ძიებისადმი ახალგაზრდა პოეტები მიჰყავს სხვისი გახუნებული ტანსაცმლის მხრებზე მოგდებამდე, მუდამ სხვისი პაპიროსის წევამდე, რითმების დისჰარმონიულობის ორტოდოქსალურ გათვითმიზნურებამდე, რის შედეგადაც ვიღებთ უნიჭო ლექსებს (უნიჭო, კარგი გაგებით).

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ სულერთია, რითი გადმოსცემ ცხოვრებისეულ მღელვარებას, ნაწარმოების ლირიკული გმირის ბიოგრაფიას, ფანდურით თუ კონტრაბასით, პაგანინის ვიოლინოთი, თუ „ჩიჩოტკით“, რადიომიმღებით, თუ ტელევიზო...

(გაგრძელება იქნება)

შეადგინა ომეგა ალფაიძემ.

ჭიანჭველის შხამი

ცამეტი წლის წინათ, სამხრეთ-აფრიკულმა პატარა ჭიანჭველებმა სატვირთო გემების საშუალებით გადაცურეს ზღვა და თავი ამოჰყვეს გენუაში. მალე ეს „ემიგრანტები“ მთელ იტალიას მოედვნენ და... დაიწყეს დიდი ჭიანჭველების განადგურება. პავიის უნივერსიტეტის პროფესორი მარიო პავანი დაინტერესდა, თუ როგორ მოახერხეს პატარა ჭიანჭველებმა „გოლიათების“ განადგურება. მალე მან გაიგო საიდუმლოება: პატარა ჭიანჭველების ნაკბენი მომშხამავი იყო. ამ გასუფთავებულ და კრისტალიზებულ შხამს ეწოდა ირიდომირმეცინი. მარიო პავანიმ აღმოაჩინა, რომ მწერებისთვის მომაკვდინებელი ირიდომირმეცინი ადამიანისათვის სრულიად უვნებელი იყო. უფრო მეტიც, იგი კლავდა ტიფის, ხოლერის და ტუბერკულოზის ბაცილებს. შეიძლებოდა თუ არა ამ შხამის ხელოვნურად მიღება და მისი გამოყენება ადამიანთა სამკურნალოდ?

ბონის უნივერსიტეტის ქიმიის პროფესორმა ფ. კორტმა განაცხადა, რომ ქიმიკოსების ცდა მიეღოთ ახალი ბაქტერიციდ-ინსექტიციდის სინთეზი — გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ღუი პასჭერის ღუელი

ფრანგი ბაქტერიოლოგი ლუი პასტერი თავის ლაბორატორიაში მუშაობდა ყვავილის ბაქტერიის კულტურის გამოკვლევაზე, უეცრად მასთან უცნობი გამოცხადდა, რომელმაც თავი გააცნო, ვითომდა პასტერის მიერ შეურაცხყოფილი დიდებულის სეკუნდანტად. პასტერმა წყნარად მოუსმინა მას და უთხრა: „რადგან დუელში მიწვევენ, მე მაქვს უპირატესობა იარაღის ამორჩევისა. აი ორი სინჯარა, ერთში — ყვავილის ბაქტერიაა, მეორეში — სუფთა წყალი. თუ ის ადამიანი, ვინც თქვენ გამოგგზავნათ, დალევს ერთ-ერთ მათგანს, მე დავლევ მეორეს“.

დუელი, რასაკვირველია, არ შესდგა.

ზღვის წყალი

ზღვის წყალს აქვს ძვირფასი სამკურნალო თვისებები და ადამიანის ორგანიზმისათვის ძალზე მარგებელია. ეს წყალი რომ გამოვიყენოთ, სასვლელებულ არ არის უსათუოდ ზღვის პირას გავემგზავროთ, ყოველ ადგილზე შეიძლება ზღვის მარილის შეძენა. იგი, ჩვეულებრივ წყალში გახსნილი, ისეთივე სამკურნალო თვისებებს შეიცავს, როგორსაც ზღვის წყალი. მარილი ღნება დუღილის დროს, მაგრამ წყალი უნდა ადუღოთ არა უმეტეს 2-5 წუთისა, რეკომენდირებულია შემდეგი პროპორცია 100-125 გრამი მარილი ერთ ლიტრ წყალზე.

დაღლილობის გრძნობა ან მოთენთილობა ქრება, თუ კი ზღვის წყალს სწრაფად და ენერგიულად წავისვამთ მთელს სხეულზე. წყალი თბილი უნდა იყოს და მთელი სხეულის მასაჟი უნდა გაკეთდეს ხელის გულით შეუჩერებლივ, სანამ სხეულზე წყალი არ გაქრება. სურდოს შეჩერება შეიძლება, თუ კი ნესტოებში რამდენჯერმე შევისუნთქავთ ზღვის წყალს და შემდეგ 10-15 წუთს სახეს მივუშვერთ მზეს. ასევე შეიძლება მოვიქცეთ ანგინის დაწყებისთანავე.

ფრანგული ჯუნგლები

„ძვირფასო ჟანა — სწერდა ახალგაზრდა თაყვანისმცემელი ქალიშვილს, — მომიტევეთ ჩემი ასეთი გულმავიწყობა! გუშინ საღამოს მე თქვენ ცოლობა გთხოვეთ, მაგრამ დამავიწყდა, თანახმა გახდით, თუ არა“.

„ძვირფასო შარლ, — უპასუხა ქალიშვილმა, — მე ვიცი, რომ უარი ვთქვი, მაგრამ ის კი არ მახსოვს, თქვენ გითხარით თუ სხვა ვინმეს“.

* * *

გასტრონომიულ მაღაზიაში შედის ერთი მამაკაცი და გამყიდველს სთხოვს მიჰყიდოს მას ყველა ლაყე კვერცხი და დამპალი ხილი.

— ალბათ, თქვენ დღეს თეატრში აპირობთ წასვლას პრემიერაზე.

— ჩუმად, აგრე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ — შეეეედრა მყიდველი — მე თვითონა ვარ ამ პიესის ავტორი.

* * *

ერთ ცნობილ მონადირეს კითხეს, თუ რამ აიძულა იგი დაეწყო ნადირობა სპილოზე.

— მე პროფესიით ენტომოლოგი ვიყავი — მიუგო მან, — და აფრიკაში ჩამოვედი მწერების კოლექციის შესაგროვებლად. მაგრამ ჯუნგლებში მე შემთხვევით დამეკარგა სათვალეები და იძულებული გავხდი პროფესია გამომეცვალა.



ნახატი-ხუმრობა
ა. სარჩიმელიძისა.

გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინი
ნახატი ზ. ლეუავანი.

მეოთხე გვერდზე: ვ. ი. ლენინის ძეგლი ზაპესში.
ნახატი ზ. ლეუავანი.

რედაქტორი გრ. აბაშიძე
პ/მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ჟურნალი გააფორმა ვ. ონიანმა.

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ.

ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/III-60 წ. გამომც. № 33. ქალ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 25.000. შეკ. № 397, უე 02201

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ფრანგულმა ჟურნალმა „ლელეტრ ფრანსეზმა“ ამას წინათ დაბეჭდა ჩემი კარიკატურისტისა და მწერლის ადოლფ ჰოფმეისტერის კომპოზიციები — პეიზაჟები. ჟურნალის იმავე ნომერში ჰოფმეისტერის ამ ნამუშევრებს აღფროვანებული წერილი მიუძღვნა ცნობილმა პოეტმა ლუი არაგონმა

არაგონი აღტაცებით ლაპარაკობს საქართველოს სანაპიროს წარმტაც სილამაზეზე, რაც მხატვარს შთაგონა ეს მეტად თავისებური საშუალებებით შესრულებული პეიზაჟები.

მკითხველი ჩვენი რეპროდუქციებით მიხვდება, რომ ქართული პეიზაჟის გადმოსაცემად ჩეხ მხატვარს ქართული გახეთებიც გამოუყენებია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



18·15/23

ეროვნული
ბიბლიოთეკა